დიანა ბალიკო

Pine Bar

მონოპიესა

(ფანტაზია თავისუფალ თემაზე)

რუსულიდან თარგმნა ლიკა ჭელიძემ

მოქმედი პირი:

მარია _ დაახლოებით 40 წლის

მოქმედების ადგილი -ელიტარული მომხმარებლისთვის განკუთვნილი ძვირადღირებული ბარი.

ინტერიერი - დახვეწილი, გემოვნებიანი, (არამყვირალა, არათვალშისაცემი)

შავ პატარა როიალზე დგას შავი კატის მინიატურული ქანდაკება.

დაბალ ხმაზე ჟღერს მუსიკა.

ფანჯრებს მიღმა ღამეა.

მარტოდმარტო მაგიდასთან უცნაურ პოზაში, მანეკენივით, ზის შემთვრალი კლიენტი.

პატარა სავარძელზე ყალიონს ქაჩავს ჭაღარა ჯენტლმენი -ედვარდ სტოუნი.

მის ტანსაცმელი ოდნავ პოლიციის ფორმას მოგვაგონებს...

ბართან გაშეშებულა უფროსი ბარმენი ნორბერტო ანდრადე - ხანშიშესული მამაკაცი.

კარში დგას შვეიცარი, რომელიც ფიქრებშია ჩაძირული... ან სიზმარში...

გრძელ, იატაკამდე დაშვებულ, მსუბუქი ქსოვილის კაბაში ჩაცმული მარია, მოჩვენებას დამსგავსებია, თითქოს სადღაც მიცურავს.

რადიო:

მოულოდნელად ირთვება რადიო. დიქტორის ენერგიული ხმა გვამცნობს: კვლავ გაიხსნა Pინე Bარ ოტელ `მილენიუმში~. ამ ორშაბათს ბარმა ყოველგვარი ხმაურის გარეშე გახსნა კარი. ძნელი მისახვედრია, რამდენად გათვიცნობიერებულად შეარჩიეს მეპატრონეებმა ინტერიერისთვის ასეთი მუქი ფერები.

(მარია დარბაზში დადის და ხელით ეხება ხის კედლებს). ფიჭვის პანელები, რომლითაც მცირე დარბაზის კედლები იყო მოპირკეთებული, ნათელი კაკლის ხით შეიცვალა. (მარია კვეთს დარბაზს დიაგონალზე, მიაბიჯებს ნოხზე, და დადის მაგიდებს შორის). ხოლო მყვირალა, ჭრელმა ნოხმა ადგილი დაუთმო უფრო დახვეწილს _ ფარდაგს. (მარია ჩერდება როიალთან, ახდის თავს და თითებით მსუბუქად ეხება შავ-თეთრ კლავიშებს. ხმა არ ისმის. მოჩვენება ადამიანთა მატერიალურ სამყაროში უძლურია გამოსცეს ხმები: მან უნდა შეინარჩუნოს, დაიცვას თავისი საიდუმლოებები.

ამასთანავე მოჩვენება ჩვენი შეუჩერებელი უკიდეგანო ფანტაზიის აღმაფრენას ჰგავს. იმიტომ, რომ მოჩვენებები არ არსებობენ... მიუხედავად ამისა, არსებობენ თუ არა ისინი). ერთადერთი ნათელი წერტილია ვარდისფერი ყვავილები ლარნაკში _ შავ როიალზე. (მარია უალხოვდება ნორბერტოს, იწვევს მას საცეკვაოდ, თუმცა ბარმენი მანეკენივით ურეაქციოდ დგას. ალბათ, მას არ სჯერა მოჩვენებების). ის გამოცდილი ბარმენია. ნორბერტო ანდრადე კვლავ ფორმაშია: `ბევრი ხალხია, _ უთხრა მან ჩვენს კორესპონდენტს, თუმცა ისინი ბარს არასოდეს აკლდნენ~. პროგნოზს, რომ ბარი სარგებელს თავისი სკანდალური სახელის გამო ნახავს, ცდილობენ არ მიანიჭონ დიდი მნიშვნელობა.

(მარია მარტო იწყებს ცეკვას. თავიდან ნელა და თავდაჯერების გარეშე. თანდათან იჭრება როლში და ბოლომდე თავდავიწყებით ასრულებს ყველა მოძრაობას. საცეკვაოდ იწვევს ყველას... მაგრამ მხოლოდ ედვარდ სტოუნი იღებს გამოწვევას). და მაინც, ლონდონში გავრცელდა ხმა, რომ Pინე Bარ-ში გაჩნდა ქალის მოჩვენება... ღამით იგი... უკაცრავად... ქალი კი არა, მოჩვენება, რაღაცას უკრავს როიალზე... ცეკვავს, მღერის, იმზადებს კოქტეილს, ესაუბრება დაცვას და უხერხულობაში აგდებს შავ კატას... ქალი-მოჩვენება ესაუბრება შემთვრალ კლიენტებს. ბარში უკვე გაჩნდა ერთი მუდმივი კლიენტი... მოჩვენება _ ედვარდ სტოუნი. იგი ყოველ დღე მოდის ბარის დაკეტვამდე ნახევარი საათით ადრე, მიირთმევს რამდენიმე საფირმო კოქტეილს და იწყებს საუბარს ვითომდა `რუს მოცეკვავე მარია ხარიტონოვასთან~. თავის დროზე ბატონი სტოუნი სკოტლანდ იარდის დეტექტივი იყო, მაგრამ ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების გამო ლონდონის პოლიციიდან გაათავისუფლეს. შმა ხომ კატეგორიულად არ შეეფერება ბრიტანელ სამართალდამცველს.

* * *

მარია, წყვეტს ცეკვას, ყოფილ დეტექტივს თოჯინასავით დასვამს დივანზე და გვერდით მიუჯდება: რა თქმა უნდა, ვინ დაუჯერებს ჭკუიდან შეშლილ დეტექტივს და უცნაური ქალის მოჩვენებას (კეკლუცობს).

_ მითხარით სერ, ჯერ კიდევ შემიძლია?... შემიძლია, ვაიძულო ჩიტი გალიაში შეფრთხიალდეს?.. და ნუ მიყურებთ ასე უტიფრად. სრულებითაც არ ვარ 40 წლის უჭკუო ქალი! მე-18 წლის გოგონა ვარ... ოცწლიანი სტაჟით... ოცდაორით... თუმცა ეს ყველაფერი უმნიშვნელოა. შეაფასეთ, როგორ ვცეკვავ... ოჰ, როგორ ვცეკვავ მაგიდაზე... (მარია, როგორც პეპელა `აფრინდება~ გვერდითა მაგიდაზე, ბაძავს სცენებს, სტრიპტიზიორობს და იცინის) დიახ... არაფერს ძალუძს წინ აღუდგეს სილამაზეს...

პეპელა

დეტექტივი არ რეაგირებს, მარია მშვიდდება, ჩამოჯდება მაგიდაზე და იქნევს ფეხებს:

_ მოიწყინეთ ჩემთან? არა! სიცრუეა. მე ვიცი რაც გიყვართ.... საერთოდ ვიცი, რა უყვართ კაცებს... მათ უყვართ ზღაპრები.... თუმცა არასოდეს აღიარებენ ამას... ჩუმად, წყნარად, მშვიდად, არ შემეკამათოთ ედვარდ, ჩვენი ხომ არავის ესმის. მე გიამბობთ ამბავს, რომელზეც უშედეგოდ იმტვრევთ თავს და მასში იქნება არა ერთი, არამედ ათასერთი ზღაპარი... მე არ ვარ შაჰრაზადა, და არც მატა ჰარი, თუმცა საშა სწორედ ასე მეძახდა, ხუმრობით. სხვა როგორი მეტსახელი შეიძლება მოუფიქრდო ინფორმატორ მარია ხარატინოვას? და კიდევ იგი ამბობდა: წყნარად მაშა, მე დუბროვსკი ვარ... და უხეშად მაგდებდა საწოლზე... სწორედ, ამ სიტყვებისთვის და სხვისი საწოლებისთვის სასტუმროს ნომრებში მოვქროდი ლონდონისკენ, მოვილტვოდი მისკენ მთელი

ჩემი არსებით. ვიმიზეზებდი მივლინებებს, მნიშვნელოვან საქმეებს და ჩემს საცეკვაო შოუს. Butterfly რატომ Butterfly? თქვენ მართლა გაინტერესებთ, დეტექტივო? თქვენთვის ასეთი მნიშვნელოვანია წვრილმანები? დამიჯერეთ, ამას არავითარი კავშირი არ აქვს საქმესთან!.. კარგით, მაშინ გეტყვით.

მრავალი წელი ვოცნებობდი ჩემს შოუზე. ჯერ კიდევ კავშირის დროს, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, როცა სოციალიზმი ყვაოდა... წაართვი მდიდარს და არ მისცე ღარიბს... უბრალო არითმეტიკაა. კერძო შოუების დადგმა პიტერში შეუძლებელი იყო, ხოლო შემოთავაზებებისაგან მეცეკვა საბჭოთა არმიის ცეკვებისა და სიმღერის ანსამბლში ან ვყოფილიყავი ცეკვის პედაგოგი, უბრალოდ გული მერეოდა. გული მერეოდა სამშობლოზე, როგორც შტირლიცს.

როცა მე და ზახარმა ერთმანეთი გავიცანით, მან იხუმრა:

_ შენი ოცნება ასრულდება, კონკია!.. შენ იცეკვებ სამეფო მეჯლისზე, როგორც ნამდვილი პრინცესა, `მაგრამ დაიმახსოვრე, თუ დროულად არ დატოვებ მეჯლისს, შუაღამისას ჩვეულებრივ ღამის პეპლადGგადაიქცევი.

დავიმახსოვრე მისი სიტყვები. Night moth... Butterfly... ის ხომ კრუგავოია, და არა საშა. ის სპონსორობას უწევდა ყველა ჩემს სურვილს, ილუზიასა და რომანს.

ნებისნიერი რეალობა, როგორც წესი, ილუზიის ნამსხვრევებით შენდება... ხომ არ მოგბეზრდათ, დეტექტივო? შემაჩერეთ, თუ მოსაწყენი გახდება...

ბებია:

მარია დგება, მიდის „ბართან“ და ორ კოქტეილს ამზადებს _ თავისთვის და ანდრადესთვის იცით, რატომ სვამენ რუსები ამდენს? ვთბებით. ჩვენთან მკაცრი ჰავაა. როგორც რუსეთში ამბობენ, მკაცრი კლიმატია ნებისმიერ ადგილას, სადაც რუსი იმყოფება. დღესაც ასეა. ამინდი მშვენიერია, კლიმატი კი მკაცრი... (უჭახუნებს და სვამს) გაგვიმარჯოს!.. ყველაფერი დანარჩენი კი ეშმაკსაც წაუღია!

ჩემი ბებია ღვთისმოშიში ქალი იყო. ლოცულობდა დილით და საღამოს. უფალს მადლობას სწირავდა ყოველი დღისა და ყოველი ლუკმლისთვის. მე ბებიასთან ვიზრდებოდი ვოლოგდაში, 5 წლიდან. საკმაოდ ჭირვეული ბავშვი ვიყავი.

_ ბე, შეიძლება ვითამაშო ქვიშაში?

_ არა, დაისვრები!

_ ბე, შეიძლება წვიმაში ვირბინო?

_ არა, დასველდები და გაცივდები!

_ ბე, შეიძლება ბავშვებთან ვითამაშო?

_ არა, შეიძლება გაწყენინონ!

_ ბე, შეიძლება ნაყინი?

_ არა, ყელი გაგიცივდება!

_ ბე, შეიძლება ამ კატის წამოყვანა?

_ არა, ალბათ სირსველა ჭირს, დაიბანე ხელები!

ამ დროს ვიწყებდი ღნავილს, ბებია ხელუკუღმა მომცხებდა და ოხრავდა:

_ ღმერთო ჩემო, სად ნახავს კაცი ასეთ ჭირვეულ ბავშვს, ღმერთო რა დავაშავე?

მშობლები

მარია სვამს მეორე კოქტეილს. ეს ყველაფერი, ჩემი სახით, მას მხოლოდ იმიტომ ერგო, რომ ჩემი მშობლები ჩასვეს ციხეში უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით პიტერში, მაშინდელ ლენინგრადში. დღეს კი მათ, ალბათ, მაკლერებს დაუძახებდნენ. დღეს ასეც ეძახიან ჩემს 60 წლის დედას. კი, კი, იგი ჯერ კიდევ ძველი ჩვეულებისამებრ იქცევა _ კუზიანს მხოლოდ სამარე თუ გაასწორებს. მაშინ იმ დედანატირებ კავშირში ჩემი მშობლები აღმოჩდნენ გადამყიდველები და სპეკულიანტები. გარიგება კი ისეთი იყო _ სათქმელადაც სასაცილოა _ რამდენიმე გაცვლა და რამდენიმე ფიქტიური ქორწინება... რათა მათ დაებრუნებინათ თავისივე საკუთარი ბინა ჩრდილოეთ დედაქალაქში. დედას ექვსი წელი მიუსაჯეს, მამას შვიდი. ასე გავიდა დრო და მე აღმოვჩნდი ვოლოგდაში საიდანაც გამოიქცნენ ჩემი მშობლები.

რა ლამაზად იწყებოდა ყველაფერი... დედა მამზადებდა ნათელი მომავლისთვის... სრულებით არასაბჭოურისთვის _ ინგლისური 3 წლიდან, ცეკვა _ 4-დან (მარია მსუბუქად იტაცეს ნორბერტოს და იწყებს ვალსის ცეკვას. როიალის შავ-თეთრი კლავიშები თრთიან, თითქოს პიანისტის უხილავი თითების შეხებას გრძნობენ). ვგეგმავდით როიალის ყიდვას, როგორც ყველა ინტელიგენტურ ოჯახში ხდებოდა და გეგმავდნენ ჩემს მუსიკალურ სკოლოში შეყვანას. ალბათ ყველაფერი ქარმა წაიღო.

ბავშვობის უკანასკნელი ბედნიერი მოგონება

5 წლის ვიყავი... ზუსტად მანამდე... ხომ არ შეგაწუხეთ, ნარბერტო? მომაბეზრებელი და შემაწუხებელი არ მინდა ვიყო... მაშ, ასე... მშობლებთან ერთად წავედი თეატრში, ლენსოვეტში. რაღაც წარმოდგენაზე უფროსთათვის.

მათ ყველგან თან დავყავდი...

_ არ შეიძლება ყველა კაპრიზის ასრულება. გოგო მკაცრად უნდა გაზარდო. ასე თუ არ იზამ, თავზე დაგაჯდება, _ ბრაზობდა ბებია.

_ მე ვიცი, რატომ ვანებივრებ შვილს, _ თავს იცავდა დედა საპასუხოდ.

რას ვამბობდი?... ა, ჰო... ლენსოვეტში წავედით. წითელი ხავერდის კაბა მეცვა და კიკინებზე წითელი ბაფთები მეკეთა. ფოიეში მშობლების წინ დავრბოდი, ვიცინოდი და ვიძახდი _ დამეწიეთ! დედა მეძახდა: _ მაშა! უკან ვტრიალდებოდი და ვიცინოდი. მე ხუმრობით გავრბოდი მისგან და შემდეგ მთელი ცხოვრება მივრბოდი მისკენ.

სასამართლოს შემდეგ ბებიამ ითავა ჩემზე მეურვეობა და წავედით ვოლოგდაში, კერძო სექტორში, რუსეთის დანგრეული გზებით. შეიძლება ითქვას, გზა საერთოდ არ იყო. ნორბერტო, თქვენ ვერც კი

წარმოიდგენთ, რა არის ძირძველი რუსული მიწა! თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა საშინელია პროვინციული საბჭოთა ქალაქები! მე მშურს თქვენი!

მას მერე არავის უკითხავს, როგორ მეძინა და რას ვისურვებდი საუზმეზე. არავინ მიკითხავდა ზღაპრებს და არ თმას მვარცხნიდა ძილისწინ. თმა მოკლედ შემჭრეს. ინგლისური და ცეკვა დავიწყებას მიეცა. მთელი დღეები ეზოში დავეხეტებოდი და ზეცას შევთხოვდი:

_ დედა, წამიყვანე აქედან.

მუსიკა ნელ-ნელა წყდება.

დღესასწაული

მარია ნორბერტოს ბართან აბრუნებს. - შემდეგ იყო დღესასწაული. აღარც კი მახსოვს რას აღვნიშნავდით. მოვიდნენ სტუმრები, გაიშალა სუფრა. ყველანი დასხდნენ, მე კი დავავიწყდით, სპეციალურად არა, შემთხვევით. დააკლდათ ერთი სკამი, ერთი თეფშიც. ჩემი. მე კუთხეში შევეყუჟე და მაგიდასთან დაჯდომა არ მომითხოვია.

მადის აღმძვრელი სუნი იდგა. წკრიალებდა სასმისები. შემთვრალმა სტუმრებმა უკვე საცეკვაოდ გაიწიეს. ყველა ჩემი ჩუმი ცრემლი დაშრა. შეუმჩნევლად გამოვედი სახლიდან. გადავწყვიტე საყვარელ ადამიანებთან, დედასთან და მამასთან წავსულიყავი. ქუჩაში ბნელოდა და საკმაოდ გრილოდა. კუზიანებივით იცქირებოდნენ ღობის იქიდან მეზობლები. ათრთოლებული ბავშვებიც ასფალტიანი გზის მიმართულებით გაემართნენ. ეს გზა მიდიოდა „დიდ ქალაქში“. არავინ შემაჩერა. მივდიოდი დედასთან და მამასთან... დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიცოდი და ნამდვილად მივაღწევდი. მაშინ პირველად დავპირდი საკუთარ თავს: ისე კარგად ვისწავლი, რომ გავიზრდები ჩემით ყველამ იამაყოს, ბებიამაც კი... სწორედ იმ ზაფხულს, ეს ჯერ კიდევ მნიშნველოვანი იყო ჩემთვის. საათნახევრის თუ ორი საათის შემდეგ დამიჭირეს. ალბათ სტუმრებს სურვილი გაუჩნდათ მოუხელთებელი შვილიშვილის გაცნობისა: მთვრალ დეიდებს მოსწონთ ბავშვების გულში ჩაკვრა. ვერსად მიპოვეს. დაიწყეს ძებნა. ერთ-ერთმა მეზობელმა თქვა, რომ მე ქალაქისკენ მიმავალი მნახა. დაიწყეს სოფლურად გინება. მამაკაცები გააგზავნეს ველოდიპედით დასადევნებლად. ორი გაჩერების შემდეგ მიპოვნეს მტირალი და გათოშილი. ბნელოდა უკვე. აი, ასე მოხდა: მე საბოლოოდ `შევარცხვინე ბებია წესიერი ადამიანების თვალში~... გადაწყდა ჩემი საცხოვრებლად გადაყვანა დედის დასთან, ჩემს ნამდვილ დეიდასთან.

ლარისა იქვე, ქალაქში ცხოვრობდა, მეზობელ ქუჩაში. მილიციელ ქმართან და ჩემზე ერთი წლით უფროს ქალიშვილთან_ ირკასთან ერთად. დეიდა ვერ იტანდა დედაჩემს, რადგან იგი „გავარდა პიტერში“, ნევის პროსპექტზე სანავადროდ, კიდევ ვერ იტანდა _ სასამართლოსთვის და ჩემი მომტირალი სახის გამო.

_ დედა, შენ როგორ არ გესმის: ვალოდიას დაითხოვენ ორგანოდან! _ ყვიროდა ის.

ბებია ქშინავდა:

_ ეს ბავშვი აქ ვერ შეძლებს ცხოვრებას.

_ მიაბარე ბავშვთა სახლს, _ თქვა ბებიამ და კარი მიაჯახუნა.

მიმაბარეს.... ბავშვთა... ბაღში... თქვენ უკვე შეშინდით ნორბერტო? სისულელეა! ეს მხოლოდ ყვავილებია. დადუმდით, ნორბერტო! მხოლოდ ჩემი შებრალება არ არის საჭირო. მე ამას ვერ გადავიტან! გესმით: მე ამას ვერ გა-და-ვი-ტან!

ახალი წელი

(მარიას გამოაქვს ბარიდან ხილითა და კამფეტებით სავსე ლარნაკი. ჯდება ოთახის შუაში და ყველაფერს ხალიჩაზე ყრის):

მახსოვს საახალწლო დილა საბავშვო ბაღში. მე პატარა ფიფქის ფორმაში. ამაზე მარტივს ვერაფერს მოიფიქრებ: ცოტაოდენი დოლბანდი და თეთრი მაისური. ბავშვები ამბობენ ლექსებს, ცეკვავენ ნაძვის ხის გარშემო, შემდეგ თოვლის პაპა ყველას ურიგებს საჩუქრებს. იცით რას წარმოადგენს საჩუქარი საბჭოთა საბავშვო ბაღში? ეს არის სასაჩუქრე ყუთი კანფეტებით, ვაფლითა და ერთი ცალი მანდარინით. საზიზღარი კარამელები, რამდენიმე შოკოლადი და მანდარინის სუნი მომავალ ახალ წლამდე. გაძვალტყავებული მანდარინი ნელ-ნელა იჭმევა. ყოველი ლებანი იწუწნებოდა ხუთი წუთის განმავლობაში... შემდეგ კი რჩებოდა მანდარინის გემო პირში და ლებანის გამომხმარი ქერქები მომავალ დეკემბრამდე.

მაშ ასე, საჩუქრებს ურიგებენ ყველას... თოვლის პაპა მიახლოვდება, მეკითხება გვარს. თოვლის ქალი კი იჭყიტება სიაში და რაღაცას ჩურჩულებს პაპის ყურთან. იგი უხერხულად იშმუშნება, რაღაცას ბუტბუტებს, მტოვებს და აგრძელებს საჩუქრების დარიგებას.... ბავშვებმა გახსნეს ყუთები... მე კი ვდგავარ სულელი და ვერ ვხვდები რატომ დავრჩი უსაჩუქროდ!.. ყელში კი გამეჩხირა უზარმაზარი ნარინჯისფერი მანდარინი, მაზიდებს და მინდა ვიტირო... გულამოსკვნით... მაგრამ არა აქ! აქ ტირილი არ შეიძლება!

შემდეგ სახლში დეიდა რაღაცას მიხსნიდა გაუგებრად. მე კი ვიჯექი იატაკზე ნაძვის ხის ძირში, ვღნაოდი და ვჭამდი კანფეტებს ირკას სასაჩუქრე ყუთიდან: ლენინი ამბობდა: გაყოფა უნდა შეგეძლოს!

_ სტალინი კი ამბობდა: საკუთარი უნდა იქონიო! _ ირკას ყოველთვის ვეზიზღებოდი.

მარია იწყებს მანდარინების ხელით დასრესვას. წვენი ეწუწება კაბაზე. შემდეგ წვნიანი ხელებით ისრესს სახეს. წვენი, მაკიაჟი და ცრემლები ერთმანეთს ერევა.

_ დღემდე, როდესაც საკუთარი თავი მებრალება, ვტირი, ყელში კი უზარმაზარი ნარინჯისფერი მანდარინი მეჩხირება, რომლის ამოღებაც შეუძლებელია... ყველაფერი ხომ იქედანაა... ბავშობიდან, მაგის დედაც...

ტანგო

მარია დგება, ცეკვა-ცეკვით უახლოვდება სარკეს, ისწორებს მაკიაჟს და ვარცხნილობას, მიდის შვეიცართან...

_ მითხარით სერ, შემიძლია თქვენი ჭკუიდან გადაყვანა? თუნდაც მცირე ხნით... სულ ცოტა... ნახევარი საათით მაინც?

მე ყოველთვის ვცდილობდი ვყფილიყავი ლამაზი და არა ჭკვიანი, იმიტომ რომ, როგორც დედაჩემი ამბობს, ბრმა კაცები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე უჭკუო. მე არ ვარ ფართო მოხმარების პროდუქტი, მე ინდნაწარმი ვარ... ქალი შექმნილი დახვეწილი სიამოვნებისთვის...

შავი როიალი აკომპანიმენტს უკეთებს მოცეკვავეს.

შემიძლია საცეკვაოდ გაგიწვიოთ? თეთრ... ტანგოზე... ნუ გეშინიათ, საცეკვაოდ და _ არა საკოცნელად. აჰ, არასოდეს გიცეკვიათ ტანგო? დიახ, ეს რეტროა. მაგრამ ახლა ტანგო კვლავ ბრუნდება, როგორც დაუვიწყარი წარსულის მოგონება.... ტანგო _ ცხელი შენადნობია დაუოკებელი ემოციებისა.... ეს ნეორომანტიზმია... მოგწონთ ტანგო?

ლონდონში გახსნილი მქონდა ცეკვის წრე. დიახ, მე პოპულარული ინსტრუქტორი ვარ. მოთამაშე მწვრთნელი. საცეკვაო შოუ და მოყვარულთა წრე (მარია უშვებს შვეიცარს თავისი მკლავებიდან და მოაქვს მისთვის გაზეთი). აი, ცინცხალი გაზეთი. რეკლამა დღემდე გამოდის. თვის ბოლომდეა გადახდილი. პედანტი ინგლისელები აქვეყნებენ. თუმცა რა? მე ხომ ცეკვის კარგი მასწავლებელი ვარ.

მოდით, განვაგრძოთ (მარია გულში იკრავს შვეიცარს) მოგწონთ ტანგო? მომყევით, მოდუნდით. მომენდეთ. ცეკვა ჰორიზონტალური სურვილების ვერტიკალური ხორცშესხმაა. ახლა ზახარს მაგონებთ. ის იყო ჩემი ტანგო. ერთმანეთი ცეკვაზე გავიცანით. ასე ეძახდნენ საბჭოთა კავშირის დროს დისკოთეკებს. შესანიშნავად ცეკვავდა. შეუძლებელი იყო ბრბოში არ შეგენიშნა. კაცი-ტორნადო, კაცი-ტანგო. ლამაზი ცეკვა. მოგწონთ?

მან, კრუგოვოიმ, თავისი ბიზნესი რომ დაიწყო და გამდიდრდა, საკუთარი შოუც კი გამიხსნა პიტერში... მე კი ლონდონისკენ, საშასთან მივისწრაფვოდი... ცხოვრებაში ყოველთვის ასეა: გინდა ერთი და იღებ სრულიად სხვას... თუმცა, არა... მე ვერავინ ვერ მივიღე.... ორივეს საკუთარი ცხოვრება ჰქონდა _ ცოლები, შვილები, სამსახური, პოლიტიკა... და სადღაც განაპირას... კუთხეში... მათი ცხოვრებისა, მე _ პატარა ღამის პეპელა... ვცხოვრობდი ორმაგი ცხოვრებით, რათა ერთი მაინც გამომსვლოდა. ორი ბატონის მსახური. სასაცილო შეცდომა...

რა თქმა უნდა, მინდოდა, ცოლად გავყოლოდი ზახარს... ისევე, როგორც ყველა ქალს სურს გათხოვება... უბრალოდ, მინდოდა სტატუსი ამემაღლებინა, მყოლოდა ქმარი... და შემექმნა დაცულობის ილუზია... მინდოდა გათხოვება. ზახარი კი ამბობდა:

_ ძვირფასო, კარგ საქმეში არც წილში ყოფნაა ცუდი...

ტუჩებს ვიკვნეტდი, ვიდრე არ მივეჩვიე წილში ყოფნას...

ყოველთვის ვამბობდი: ყველაზე ჭკვიანი პოლიტიკოსები ქალები არიან, რადგან პოლიტიკაში არ ერევიან. და აი, გავები... რაც უფრო ღრმად ზიხარ ნაგავში, მით უფრო მაღლა წევ ცხვირს. მოგწონთ ტანგო?

სამხრეთი

მარია ჯდება როიალთან და მუსიკა წყდება: მომავალ წელს ძია ვალოდიამ ოჯახი სამხრეთში წაიყვანა. მაშინ ასე ამბობდნენ. და კიდევ: ყოველი საბჭოთა ადამიანი, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვალდებული იყო, სოჭში მოხვედრილიყო. ძია ვალოდია სოჭში თითქმის ყოველ წელს დადიოდა.

ცოლთან ერთად ქირაობდა პატარა ფარდულს, ყოველთვის ერთსადაიმავე ოჯახში. ამჯერად მეც თან წამიყვანეს.

ირკა იქაურობას კარგად იცნობდა. სწორედ მან მიმიყვანა ტყეპარკში და ხეზე მიმაბა.

_ ჩაძაღლდი!

ყველაფერი რაციონალურად, ცივი გონებით გააკეთა. ისევე ვერ მიტანდა, როგორც ლარისა დედაჩემს. სათამაშოების გამო, რომელთა გაყოფაც უწევდა, განახევრებული საახალწლო საჩუქრების გამო...

ირკა მიდიოდა ნელა და ლამაზად, ქალურად მიაქანებდა უკანალს. მე კი ვხაოდი:

_ ირაჩკა, ძვირფასო, არ წახვიდე, აღარასოდეს ვიზამ ამას!

რას აღარ ვიზამ? რა დავაშავე? ის, რომ ვცოცხლობ... და რომ ამის შემდეგ... ამიტომაც მიმაბა ხეზე... როგორც ლეგენდაში... უძლური მოხუცების შესახებ...

თავი ხომ არ მოგაბეზრეთ? გამაჩერეთ. ოღონდ მითხარით: მორჩა, საკმარისია... და წავალ...

მე თვითონაც გეტყოდით:

_ წადი, უშენოდაც ცუდად ვარ...

ვიტყოდი.... ალბათ....

პრაქტიკულად გონება დავკარგე ტირილისგან. ტყეპარკი ექვსი წლის გოგონასთვის _ გაუვალი ჯაგნარია. მერე მიპოვეს. დამსვენებელთა მთვრალმა ჯგუფმა. რაღაცას მღეროდნენ კომკავშირული აღტყინებით, ხიდან ამხსნეს და, ყოველგვარი ზედმეტი შეკითხვების გარეშე, გამიშვეს.

მე კი ვიმეორებდი:

_ ბიჭები... ცუდი ბიჭები... ისინი ცუდები არიან...

საიდანღაც კვლავ მოვიდა ძალა, მე კი ნამტირალევი და მტვერში ამოგანგლული, გავრბოდი გზის გაურკვევლად. არ ვიცოდი, საით წავსულიყავი, სად იყო ის ავადსახსენებელი ფარდული.... მაგრამ ფეხებმა თავად მიმიყვანეს. ეს სასწაული იყო. ღამე იდგა. სამხრეთული ღამე უზარმაზარი ვარსკვალებით ცაზე.

ირკას ეძინა. ვალოდია ხვრინავდა. დეიდა ვალერიანს სვამდა.

_ სად იყავი? _ მკითხა მხოლოდ თვალებით.

_ ვსეირნობდი, _ ვუპასუხე.

მცემა უხმოდ. არც კი მიტირია, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორ მეშინოდა ირკასი. რომ გაიღვიძოს და რაიმე საზიზღრობა მოიგონოს ჩემზე... უეცრად...

ხვალ იყო ომი

მარია მაგიდასთან ჩამოუჯდება ბარის შემთვრალ კლიენტს: ვოლოგდაში დაბრუნებისთანავე კვლავ ბებიასთან დამაბრუნეს, უკან.

_ დედა, წაიყვანეთ ბავშვი უკან.

მითხარით, რას უშვრებით გამოუსადეგარ საჩუქრებს? ასეთ რამეებს არ გჩუქნიან? მართლა? მაშინ წარმოიდგინეთ, რომ გაჩუქეს უსახური ლარნაკი, სად უნდა წაიღო, თვალებში რომ არ გეჩხირებოდეს? ჩვენს ოჯახში მიღებული იყო გამოუსადეგარი ნივთების უკან გაჩუქება.

_ წაიყვანეთ ბავშვი უკან.

პირველ კლასში ვოლოგდაში წავედი. ვოლოგდის #3 საშუალო სკოლაში. ერთხელაც ცივ ზამთარში ბებიამ გამაღვიძა სკოლაში წასასვლელად, ჩამიტენა ჩანთაში ბუტერბროდი და ქუჩაში გამიშვა. ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. არცერთი გამვლელი. ჩვეულებრივ, როდესაც სკოლაში მივდიოდი, ირგვლივ ადამიანები სამსახურებში მიიჩქაროდნენ, სადღაც მიჰქროდნენ მანქანები... ახლა კი არავინაა.

_ ომია, _ გავიფიქრე _ ომი დაიწყო. მე კი არაფერი ვიცი. მე და ბებიას ტელევიზორისთვის რამოდენიმე დღეა არ გვიყურებია.

გამაცივა. მტკიცედ გადავწყვიტე, სკოლაში მივსულიყავი და გამერკვია, როდის დაიწყო ომი. სახლების კედლებს აკრული მივიპარებოდი სკოლისკენ. მივედი. სკოლა დაკეტილი დამხვდა. ირგვლივ არავის ჭაჭანება არ იყო. სკოლის კარზე დავაკაკუნე _ არავინ გამომეხმაურა. ჩემში უეცრად ემოციების კარიბჭე გაიხსნა და სკოლის პარმაღზე მწარედ ავქვითინდი. ცრემლიანი თვალებით გავიქეცი შინისკენ:

_ ომია, ბებია, ომი დაიწყო.

უპირველეს ყოვლისა, ბებიამ ტელევიზორი ჩართო:

_ ახლავე ყველაფერს გვეტყვიან.

ტელევიზორის ეკრანი ნაცრისფრად ციმციმებდა, შიშინებდა და არაფერს აჩვენებდა. ბებია სავარძელში ჩაეშვა.

_ ომია.

დავდუმდით. მოულოდნელად კედელს შევხედე, კედლის საათი მისაღებში ოთხს უჩვენებდა, სამზარეულოშიც, მაღვიძარაზეც დილის ოთხი იყო.

_ ბებია, ჯერ ადრეა, ჯერ ღამეა! _ სიხარულით წამოვიძახე.

ბებიამ ლოცვა დაიწყო. მე კი დასაძინებლად დავწექი....

ხალხური ცეკვები

როიალი სასიამოვნოდ ჟღერს, ლაღად, კლავიშების ტალღამ გადაირბინა. მარია დგება და იწყებს ცეკვას, რაღაც ხალხურს, რუსულს: ბებიამ ხალხურ ცეკვებზე მიმიყვანა. ახსოვდა, რომ დედა

ოცნებობდა ჩემგან აისედორა დუნკანი აღეზარდა, მაგრამ თავის ჭკუაზე შეცვალა ეს იდეა. ექვსი წელი ხალხურ ცეკვებზე...

მე კი ყოველდღე სულ სხვაზე ვოცნებობდი... ბალეტზე... ლათინურზე... როგორც კონკია... როგორც კარმენი... ეს ყველაფერი მამაკაცთან ყოფნას გავს.

_ პრინცს შეიძლება მთელი ცხოვრება ელოდო, მამაკაცი კი ყოველდღე საჭიროა _ მასწავლიდა ცხოვრებას ბებია. _ საერთოდ არაფერს ხალხური ცეკვები სჯობს.

მოძრაობა, ჟესტი, პროტესტი... ცეკვაში შემეძლო გადმომენთხია ჩემი დარდი, მომეთხრო ჩემი მარტოობის შესახებ, გამომეტირა ჩემი ტკივილი ხელებით, გამეთელა ფეხებით ჩემი წყენები. ცეკვაში ყველაფერი შემეძლო. სიტყვები ყელში მეჩხირებოდა, ცრემლები ჩემს შიგნით იწვოდა, ისე რომ თვალებამდეც კი ვერ აღწევდა, ხოლო სხეული... სხეული... იგრიხებოდა, გარეთ გამოჭქონდა ყველა ჩემი ფანტომური ტკივილი... სადღაც, ქვეცნობიერის დონეზე ჩემი სხეული ჯერ კიდევ ინახავდა ცხელ შუბლზე დედაჩემის ტუჩების შეხების შეგრძნებას, როდესაც ავად ვიყავი. მამის მხრებს, რომელზეც ვიჯექი საპირველმაისო აღლუმზე, ყველაფერი კარგად რომ დამენახა... ხანდახან ღამით ხელით ვეხებოდი თეძოების შიგნითა მხარეს, ძლიერად ვუჭერდი, მსურდა შემეგრძნო მამის ტრაპეციული კუნთი... ხელს ვიკიდებდი კოჭებზე, ვიხსენებდი, როგორ მიჭერდა ხელით, როდესაც კისერზე ვეჯექი.... თუმცა სხეულის მახსოვრობა იშლება... როგორც მტვერი... დროის ქარის დაბერვით... როგორც მტვერი...

მუსიკა წყდება.

ჰალსტუხი

მარია ჯდება ედვარდ სტოუნთან პატარა დივანზე: სერ, ქალბატონს სიგარეტით ხომ არ გაუმასპინძლდებოდით? ასე ბანალურად და უხამსად ეცნობოდნენ საბჭოთა ბოზები კლიენტებს. ასე ბანალურად და უხამსად ვეცნობოდი მე. ო, არა! ვერავინ გაბედავდა ჩემთვის პროსტიტუტი ეწოდებინა. მე ვიყავი `კაგებე~-ს ინფორმატორი... შემდეგ `ფეესბეს~... ზახარმა გადამიბირა. ნუ გიკვირთ, დეტექტივო! უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია. მე მივეჩვიე ანგარიშის გასწორებას. საბჭოთა კავშირში კი ყველაფერი ფული ღირდა _ ძვირადღირებული უცხოური წინდები, საფირმო პუანტები, საახალწლოდ ერთი ქილა შავი ხიზილალა, საგზური შავ ზღვაზე, ფრანგული კოსმეტიკა და ავსტრიული ჩექმები. იცით, რატომ ზრუნავენ ასე ჩვენი მოხელეები ნავთობის კომპანიებზე? მათ ძალიან ბევრი ვაზელინი სჭირდებათ.

ზახარი უზრუნველყოფდა ჩემს ყოფას, მე კი მისთვის ინფორმაციას ვაგროვებდი... გადავცემდი დეპეშებს... შემთხვევისამებრ ვწერდი საჩივრებს.... ფულს სუნი არ ასდის... იცით ამის შესახებ?

მითხარით, დეტექტივო, ბედნიერი ხართ ქორწინებაში? ან... იყავით ბედნიერი... რამდენჯერ? ჩაუმად... ვიცი, რომ თქვენც არაფერი გაქვთ სათქმელი... რადგან ქორწინება _ ეს დახვეწილი წამებაა, უცნაური გარყვნილება _ მარტოობა ერთად ყოფნისას. ნუ შემეკამათებით, დეტექტივო! ეს ასეა. თუ ასე არაა, რატომ მოდიოდნენ, რომ ჩემს მკლავებში მისცემოდნენ თავდავიწყებას? რატომ ჩურჩულებდნენ ჩემს სახელს ცოლთან ერთად სარეცელის გაყოფის დროს?

_ ყველა ქალს სურს გათხოვება, მაგრამ ყველას არ ძალუძს ცოლობა, _ მეუბნებოდა საშა. და ყოველ ღამე.... ბრუნდებოდა... ბრუნდებოდა... ბრუნდებოდა მასთან... გენერლის ქალიშვილთან. იგი იყო მისი კარიერული კიბე... ბოლოს და ბოლოს, ის მისი ორი შვილის დედა იყო. მე კი ჩათლახი,

მოცეკვავე და პატიმართა შვილი ვიყავი. პოლიტპატიმრების შვილი მაინც ვყოფილიყავი... მაშინ ლონდონში ჩემთან ერთად ძალიან მოსახერხებელი იქნებოდა პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნა... ასე კი...

ბავშობიდან მივეჩვიე, რომ ყველგან უარმყოფდნენ. და ეს ჩემი ძაღლისებრი ერთგულება _ ჩემი სიყვარული _ იფურჩქნებოდა წითელ ყვავილად მხოლოდ იქ, სადაც მას წყალს უსხამდნენ წყენა და მარტოობა.... და დაკარგვის ცხოველური შიში... სულის შეხუთვამდე საშიში... შეგშინებიათ ასე ოდესმე, დეტექტივო?

მე ძალიან მეშინოდა, რომ პიონერებში არ მიმიღებდნენ... მშობლები ციხეში... და ასე შემდეგ... დირექტორი დიდხანს თათბირობდა რაიკომებში, ქალაქკომებში, რაიონულ კომიტეტებში... ბოლოს მაინც გადაწყვიტეს, რომ `შვილი პასუხს არ აგებს მშობლის შეცდომაზე~. და ასე შემდეგ... მოკლედ, პიონერების რიგებში სხვებთან ერთად მიმიღეს. ვიდექით ჩვენი სკოლის სააქტო დარბაზის სცენაზე. უკრავდა მუსიკის მასწავლებელი. დარბაზში ისხდნენ მშობლები... მე მწკრივში ბოლო ვიდექი, ბოლო. იმ ღირსეულთა შორის ვინც ღირსი იყო პიონერობისა. უღირსნი არ აღმოჩნდნენ. ჩემს წინ იუგოვი, შემდეგ იაბლოჩკინა, შემდეგ კი ხარიტონოვა... ანბანის ყველა წესის დარღვევით... მაგრამ პარტიის წესების შესაბამისად... როგორც დაგვიბარა დიდმა ლენინმა.

_ როგორც დაგვიბარა დიდმა ლენინმა, _ გუნდურად ვიმეორებდით ჩვენ. მხნე პიონერხელმძღვანელი ყელსახვევებს გვიკეთებდა. ჩემსას ისე მოუჭირა, რომ სუნთქვა შემეკვრა... თვალთ დამიბნელდა. სცენიდან ჩამოვხტი, მივირბინე ჩანთასთან, ამოვიღე მაკრატელი და სწრაფად ჩავჭერი ყელსახვევი პერანგის საყელოს ქვეშ... ამოვისუნთქე. უეცრად დამაყრუა პიონერხელმძღვანელის ყურისწამღებმა კივილმა. და გონს მოვეგე მხოლოდ მაშინ, როდესაც დამიწყეს ცემა ხელებსა და სახეში:

_ დამპალო, რატომ ჩამოაჭერი ლენინი პარტიას?

ასე შევიტყვე, რომ ყელსახვევის კუთხეები სიმბოლურად აღნიშნავს ლენინს, პარტიას და კომკავშირს.

ამ სკოლაში ყელსახვევი აღარ მკეთებია.

დედა ციხიდან რომ გამოვიდა, კიდევ სამი წელი დავყავით ვოლოგდაში. დედა და ბებია ყოველდღე ჭამდნენ ერთმანეთს. შემდეგ დავბრუნდით პიტერში და სხვა სკოლაში წავედი. როდესაც კომკავშირში მიგვიღეს, მთელი კლასი შევკრიბე ბიჭების საპირფარეშოში, საზეიმოდ ჩავახრჩვე ყველა ყელსახვევი და დავტბორე ნახევარი სართული. რა თქმა უნდა, დამასმინეს. ასე გამრიცხეს კომკავშირიდან.

მაგრამ როდესაც ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა ზახარი, ყველაფერი უმნიშვნელო გახდა _ ჩემი ურთიერთობა საბჭოთა ხელისუფლებასთან, ჩემი მეამბოხე ხასიათი, ჩემი ტკივილი, ჩემი სურვილი ვიღაცისთვის რაღაც დამემტკიცებინა... ზახარმა ძალუმად მიმართა ყველაფერი საჭირო მიმართულებით. მისთვის საჭირო... ჩემთვის მოსახერხებელი... თავი ხომ არ შეგაწყინეთ?

მკითხეთ, ედვარდ, როგორ ვარ, მიდით, მკითხეთ Hოწ არე ყოუ, დარლინგ? ძვირფასო, იცით რა არის განავალი? მაშ ასე, იგი ჩემს ცხოვრებასთან შედარებით _ ხილფაფაა. არა, არა, არ ვწუწუნებ. რას ამბობთ! განავალი არ შეიძლება უგემური იყოს, არ შეიძლება მილიონობით ბუზი ცდებოდეს!

სალსა

როიალის კლავიშები თრთის და იძირება მუსიკის სამყაროში. მარია უახლოვდება მაგიდასთან მჯდომ შემთვრალ მამაკაცს და იწვევს საცეკვაოდ. გიყვართ სალსა, ისევე როგორც მე? `ეჩალე სალსიტა დარლინგ! ეჩალე სალსიტა. მერწმუნეთ, მომყევით, გაანთავისუფლეთ თქვენი ემოციები. ნაბიჯი, ნაბიჯი, ნაბიჯი. ეჩალე სალსიტა. სალსას ხასიათი მის ძირითად ნაბიჯში ჩანს. სხეულის ზედა ნაწილი არ მოძრაობს... და... აქცენტი გადაგვაქვს ფეხებსა და თეძოზე. ფეხების მოძრაობა ძალზე მნიშვნელოვანია... სწორედ ისინი აძლევენ ასეთ დამახასიათებელ მოძრაობას თეძოებს. როგორც სექსში... და უკეთესადაც კი...

მოდუნდით, სალსა არ გამოირჩევა ტექნიკის სირთულით. ძირითადი მოთხოვნაა, არ იყო გულგრილი, მიეცით თავს ნება გამოხატოთ გრძნობები და ემოციები ღიად. ნუ გეშინიათ!

_ დავუმატოთ ცეცხლი! _ ყვიროდა კუბელი იგნასიო კინეირო და სწორედ ეს სიტყვები უწოდა მან თავის ახალ სიმღერას. ეჩალე სალსიტა! სწორედ ასე დაიბადა სალსა, ხომ არ დაიღალეთ? ნაბიჯი ნაბიჯი, ნაბიჯი. ეჩალე სალსიტა, დარლინგ! სალსა შეიძლება იცეკვო უსასრულოდ...

სალსა ესპანურად _ სოუსსაც ნიშნავს. დიახ, ეს ცეკვის სოუსია, რომელიც შედგება გუარაჩუს, ჩა-ჩა-ჩას, პაჩანგუს, რუმბასა და მამბოსგან... სალსა მეფობს ყველგან... ვენესუელაში, კოლუმბიაში, პანამაში, პუეტრო-რიკოსა და კუბაზე...

მკითხავთ, რატომ მიყვარს ასე ძალიან სალსა? სალსა _ ეს ინტრიგაა, რომანია, სიახლოვეა... მეწყვილეები ძალზე ახლოს არიან.... აქ უკვე ვეღარ განსჯი ცივი გონებით... აქ ჩნდება კავშირი... ემოციები და გრძნობები... ცეკვა იქცევა თამაშად... აქ ყველა ელემენტია თაყვანისცემისა და უარის, ცდუნებისა და ვნების... ცეკვა, როგორც წყვილის შემოქმედება!... როგორც ყველაზე დიდი ინტიმი... და რაც ყველაზე მთავარია, ყოველი ცეკვა განუმეორებელია. შეიძლება იცოდე რამდენიმე მოძრაობა, მაგრამ ყოველ ჯერზე ახალ მეწყვილესთან, ახალი მუსიკის თანხლებით, იბადება რაღაც უნიკალური, ნათელი, თავისი ემოციებითა და ვნებებით. ნაბიჯი, ნაბიჯი, ნაბიჯი. ეჩალე სალსიტა, ჩემო მეგობარო!

ქორეოგრაფიული სასწავლებელი მეოთხე კურსზე მივატოვე. ჩემი ბიოგრაფიით დიდი თეატრის პერსპექტივა არ მქონდა, ნაკლებზე კი მე არ ვიყავი თანახმა. იდგა 80-იანები. `პერესტროიკის~ წინა პერიოდი იყო. ლამბადა. როგორც ენამწარეობდა ბებიაჩემი, გოგონები მაკიაჟით იფარავდნენ სილურჯეებს თვალებქვეშ და ილურჯებდნენ თვალებს ზემოდან.... ვარდისფერ-ცისფერი გამა... იასამნისფერი... მე წამოვედი სასწავლებლიდან. დედა მისტიროდა ჩემს ინგლისურს. იგი ოცნებობდა ჩემს გასტროლებზე დიდ თეატრთან ერთად, მე _ პრიმა, პრეს-კონფერენციები, გვირგვინოსანი უფლისწული ხელზე მემთხვევა და ცოლობას მთხოვს... უკიდურეს შემთხვევაში, საყვარლობას.... დედა, დედა...

წამოვედი სასწავლებლიდან და საესტრადო ცეკვებით დავინტერესდი. ცეკვის გარეშე არ შემეძლო. ჩემი დაჩეჩქვილი თითები ტკივილს ითხოვდნენ, რათა გაეცათ ტკივილი.... მეტი ფიზიკური ტანჯვა, რათა გადმომენთხია სულიერი.... ვიხარჯებოდი სცენაზე, რათა ოფლით გადმომეღვარა სულის ტკივილი...

ცეკვით გადმოვცე ტკვილი, იმიტომ რომ არგადმოცემა... და ვიცეკვო აუცილებლად მარტო, იმიტომ რომ აუტანლად მტკივა. მიყვარდა სოლო პროგრამები. „მედუზა გორგონა“ _ ჩემი პირველი შოუა

80-იანების დასასრულს, ვითომდა თავისუფალ, დემოკრატიულ რუსეთში, საათნახევარი შეშლილი დრაივი... და სცენაზე მარტო ვარ... იმიტომ რომ არ მიყვარს... როდესაც გამუდმებით მეხებიან... სხვები... ბინძური ხელებით... მე კანის გარეშე ვარ... გამატყავეს, როდესაც ხეზე მიმაბეს. ჩემი კანი იქ დარჩა... სოჭში... ექვსი წლის გოგონას კანი... სხვა კი აღარ ამოვიდა, ეჩალე სალსიტა, დარლინგ! ეჩალე სალსიტა!

არაფერი პირადული

მარია სცილდება შემთვრალ მამაკაცს და უახლოვდება შვეიცარს. დაიწყებს მასთან ცეკვას.

შენი სურვილი ასრულდება, კონკიავ და იცეკვებ სამეფო მეჯლისზე. მანამდე კი, მაშა, მოდით, ჩვენი მეგობრობა სქესობრივი აქტით განვამტკიცოთ _ და ეს უმსგავსო სიტყვებიც კი ვერ მაჩერებდა სევდისგან დაღლილს.

ზახარი. კრუგოვოი. პირველი მამაკაცია, ვისაც უფლება მივეცი, შეხებოდა ჩემს მოუშუშებელ იარებს. პირველი, ვისაც ვუამბე ბავშვობის შესახებ... და ჩემი ოცნება _ მეხილა ლონდონის ნისლი...

და მან მოიფიქრა... პრაქტიკულად... მამაკაცურად... როგორ განმეხორციელებინა ჩემი ოცნება.

_ ყველაფრის გადაცემა შეუძლებელია დიპლომატიური ფოსტით. მაგრამ რაღაცის გადატანა ადვილი შესაძლებელია პატარა ქალის ხელჩანთით. სასიყვარულო რომანის ფურცლებს შორის, ტუჩსაცხის ტუბით, მზისგან დამცავი სათვალის ბუდით.... სპეციალურ ბუდეში. როგორც ამბობენ ამერიკელები, სამუშაო სამუშაოა... არაფერი პირადული... ფულს სუნი არა აქვს. საშუალება ამართლებს მიზანს!

„კაგებე“-ს მაიორმა კრუგოვოიმ ძალიან კარგად იცოდა თავისი საქმე. ცოლი, ორი შვილი და საყვარელი _ მარია ხარიტონოვა. როგორც ამბობდა დედაჩემი, ეფექტური ქალები კაცებს თვალში ხვდებიან, პრაქტიკულები _ კისერზე ეკიდებიან, ცოლად მიჰყვებიან და შვილებს უჩენენ.

როგორ ფიქრობთ, ჯერ კიდევ შემიძლია?.. აღგაგზნეთ? ისე მძიმედ სუნთქავთ! ახ, ეს სალსა... დაიღალეთ? ნუთუ! სალსა _ ენერგიაა, სიცოცხლე!

დედა ყოველთვის ტიროდა ჩემს კონცერტებზე. არა სიამოვნების გამო, არა. არც, სიამაყით. იმიტომ, რომ ის, ის სცენა არ იყო; არც ის ცეკვა იყო, არც ის პარტია, არც ის ქვეყანა და არც ის ცხოვრება...

როგორ მაგონებთ ზახარს... ეჩალე სალსიტა დარლინგ! ეჩალე სალსიტა! ზახარი უფრო მეტ ხანს ატარებდა ჩემთან, ვიდრე ცოლთან, შვილებთან და სამუშაოზე. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ მე მისი ცოლი, შვილები და სამსახური ვარ... უფრო სწორად, უფრო მეტი, ვიდრე ცოლი, შვილები და სამსახური... მაგრამ როცა გეჩვენება, პირჯვარი უნდა გადაიწერო. იცოდით?

მე ვიცნობდი კრუგოვოის ყველა ახლობელს. ყველა მეგობარს, თანამშრომელს, კოლეგას, კონკურენტს... საშა მისი მეგობარი იყო. ერთად დაამთავრეს სამხედრო სასწავლებელი. მოდიოდნენ მხარდამხარ. ერთად მუშაობდნენ. შემდეგ კრუგოვოი პიტერში დარჩა, ხოლო მარტინენკო მოსკოვში წავიდა.

საშა ჩვენ მოსკოვში გავიცანით... ზახარმა მეც თან წამიყვანა მივლინებაში „კაგებე“-ს დღესასწაულზე... თუ არ ვცდები, 19 ან 20 დეკემბერს სამხედრო კონტრდაზვერვის ზეიმზე... შეიძლება ოცში... „ვეჩეკა“... „ენკავედე“... „კაგებე“... „ფეესბე... დიდი ბანკეტი... მეჯლისი... და მე

ვცეკვავ... როგორც კონკია... როგორც ნამდვილი პრინცესა... აი, შეიძლება ვინმემ არ შემამჩნიოს... შეუძლებელია ვინმემ არ შეამჩნიოს... საშამ იცოდა სალსას ცეკვა...

სველი ასანთი

მარია თავს ანებებს შვეიცარს და უბრუნდება შემთვრალ მამაკაცს: ნება მიბოძეთ, მიგიწვიოთ, თვალი თვალში... ტუჩი ტუჩში... ძლიერი მამაკაცის ხელები შემომეჭდო თეძოზე... ხმის ამოუღებლად ვცეკვავდით, იმას, რასაც თვალები იტყვიან, ვერ გამოთქვამენ ტუჩები... იმას, რასაც გამოთქვამენ ტუჩები, ვერ იტყვიან ხელები... იმას, რასაც გამოთქვამენ ხელები, ვერ იტყვის ბუნება... იმას, რასაც გამოთქვამს ბუნება, ვერ იტყვის გული... იმას, რასაც იტყვის გული, ვერ გამოთქვამენ სიტყვები... იმას, რასაც იტყვის ცეკვა, სხვა ვერავინ იტყვის... ეჩალე სალსიტა, დარლინგ!.. ეჩალე სალსიტა!..

ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. შემდეგ საშამ ზახართან მიმიყვანა და ერთი ამოსუნთქვით წარმოთქვა:

_ მაგარი ვინმეა! გილოცავ, ძმაო!..

_ აბა რა!.. _ ზახარმა ისე გაიღიმა, რომ სურვილი გამიჩნდა ერთი დარტყმით მისი ლამაზი თეთრი კბილების ჩამემსხვრია... რომ მერე სათითაოდ აეკრიფა, დამტვრეული ხელებით... და დამეხრჩო საშა...

მაგრამ საშამ მოიტანა შამპანიური და ფრთხილად გამიხმო გვერდით... მოსაწევად... ზახარს არ უყვარდა, როდესაც ვეწეოდი... გავყევი საშას... გავცვალეთ ტელეფონის ნომრები... მრავალმნიშვნელოვნად ჩავხედეთ ერთმანეთს თვალებში... არანაირი პირობა არ დაგვიდია...

იმ ღამეს ზახარის მკლავებში ვქვითინებდი... მოულოდნელი სინაზისგან... საშასადმი მოზღვავებული სიყვარულის გამო... საკუთარი თავის სიბრალულის გამო... კარგია, რომ ზახარს შვილი არ გავუჩინე.... ცუდია, რომ ორი აბორტის შემდეგ შვილის გაჩენას ვეღარასოდეს შევძლებ...

ასე გრძელდებოდა ჩემი ცხოვრება კრუგოვოისთან. ასე დაიწყო ჩემი სიყვარული მარტინენკოსთან. გაუმაძღარი გავხდი.... მოულოდნელად დამჭირდა ფული... მეტი... უფრო მეტი.... ზახართან ლოგინში ვიყავი და ვფიქრობდი სად მეშოვა ფული, რომ მყოფნოდა საშასთან სასიყვარულო ურთიერთობისთვის... რომ წავსულიყავი ლონდონში... რომ ისიც წასულიყო ლონდონში.... რომ ყველაფერი ლამაზად მომეწყო... მას რომ მოსწონებოდა... ძვირფასი... ძვირფასი.... კიდევ... კიდევ ფული...

ზახარმა ეჭვიანობა დაიწყო... არა... ჩემი საშასადმი კი არა... საშასი, მისი კარიერისადმი... მარტინენკო წინ მიდიოდა. იგი უკვე პოდპოლკოვნიკი იყო, ზახარი კი კვლავ მაიორად რჩებოდა... კრუგოვოიმ გადაწყვიტა ბიზნესში წასულიყო. რათა ერჩინა ოჯახი და მე... უფრო სწორად ვერჩინე მე და ოჯახი, რადგან მაიორის ხელფასით ეს შეუძლებელი იყო...

მე მსურდა ცეკვის პროექტი... საზღვარგარეთული ვოიაჟები... საკუთარი შოუ ლონდონში... მსურდა რეალიზება... ზახარს მე ვსურდი... ყოველი ჩემი ცეკვისთვის ხაზარი იხდიდა... ცეკვა კი ეძღვნებოდა საშას...

საშა თითქმის არაფერს ხარჯავდა ჩვენს გამო... თითქმის არ მახარჯავდა ფულს.... მე ვიყავი ქალი-დღესასწაული... ქარბუქი, ქარიშხალი.... თავად მივდიოდი მოსკოვში... ზოგჯერ გასტროლზე, ვქირაობდი ქალაქის გარეუბნებში სასტუმროს საუკეთესო ნომრებს... გულისწამღები კონსპირაცია... ვუკვეთავდით სასმელს და ცეცხლს ვანთებდით... სრული პროგრამით... საშა ვნებიანი საყვარელი იყო... შუალედებში კი მე ჯიუტად ვსაუბრობდი ლონდონის შესახებ... თითქოს ვბოდავდი... არ ვიცი რის გამო მიყვარდა იგი... ამის გაგება... ძალიან... ძალიან... ალბათ... იმიტომ მიყვარდა, რომ მას მშვიდად შეეძლო უჩემოდ ცხოვრება... მათ მშვიდად შეეძლოთ უჩემოდ ცხოვრება... ლონდონს და საშას...

ეს უდიდესი ბედნიერებაა _ გიყვარდეს. ყველას არ შეუძლია. ამის საფასური უნდა გადაიხადო, სამწუხაროდ, სისხლით. ვერაფერს იზამ? მე არ შემეძლო მარტივად მეცხოვრა, სხვა ყალიბის ვიყავი. სიყვარული _ ჩემი არსია. თევზმა არ იცის რა არის წყალი და იგი მასში ცხოვრობს. მე ვცხოვრობდი სიყვარულით და მაინც ვერ გავიგე რა იყო ეს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს... იმიტომ რომ სიტყვა _ სიცრუეა. არსებითად სიყვარულიც სიცრუეა, თუ ასე არაა, მაშ რისთვისაა ასეთი ტანჯვა და იმედგაცრუებები? სიცრუის საფასურად, სიყვარული... რა არის იგი? ისე უბრალოდ, ღმერთის შეგრძნება, რომელიც სადღაც ახლოსაა... როდესაც მოგეჩვენა, რომ შენ მას იცნობ _ გადააფურთხე სამჯერ და პირჯვარი გადაისახე. მე მიყვარდა საშა... ასე მეგონა... მაგრამ, როცა ის მოკვდა, მივხვდი, რომ სულ ცოტათი მყვარებია. ეს გავს ოღრო-ჩოღროებზე თვალახვეულ სირბილს. ეცემი, სისხლი გდის, ახელ თვალებს და ხვდები, რომ სირბილისას რაღაც მნიშვნელოვანი გამოგრჩა. ვერ ახსნი იმას, რაც შენზე მეტია, რასაც ვერ ხედავ. შეიძლება მხოლოდ იგრძნო. რამდენიც არ უნდა გასცე სიყვარული ცეკვით, მაინც ვერ გასცემ... ვერ დაწერ... ვერ იმღერებ... მაგრამ რატომღაც გეცეკვება, გეწერინება, გემღერება...

ჩემს ბინაში, ლონდონში, ჭაღზე ზანზალაკი ჩამოვიდე. რომ გავუვლიდი, სპეციალურად ხელს გავკრავდი ხოლმე... იგი წკრიალებდა... ზოგჯერ უსიამოვნოდაც. უხეშად. ზოგჯერ პირიქით _ სასიამოვნოდ. რაღაცას მიმანიშნებდა სამსახურზე... სიყვარულზე... ცხოვრებაზე...

ყოველთვის ვიცოდი, რომ უსიყვარულოდ ცხოვრება შეუძლებელია. მის გარეშე ცხოვრება სველ ასანთს ემსგავსება.

საშა ლონდონში გაემგზავრა მოულოდნელად. ისევე მოულოდნელად, როგორც ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა. იგი არასოდეს განიხილავდა ჩემთან სამომავლო გეგმებს, მხოლოდ იღიმებოდა და ამბობდა:

_ მშვიდად მაშა, მე დუბროვსკი ვარ...

ოჯახთან ერთად გაემგზავრა. ამის შესახებ გაზეთებიდან შევიტყვე. პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. ეს იყო მედიის სკანდალი. პრესა გუგუნებდა...

_ თქვენი აზრი მის, როგორც ადამიანის შესახებ?

_ იგი იდეითაა შეპყრობილი, ამ იდეისთვის მუშაობს და ყველაფერს მას უქვემდებარებს.

_ რაში მდგომარეობს მისი იდეა?

_ გაათავისუფლოს რუსეთი `კაგებე~-ს ტოტალური ზემოქმედებისგან. სკკპ-ის ადგილი დაიკავეს კომიტეტის წევრებმა, რაც საქმისთვის ბევრად უარესია. ისინი ითვისებენ ხალხის ფულს. მან ყველაფერი ეს დეტალურად იცის და ცდილობს შეეწინააღმდეგოს.

საუკეთესო პოლიტიკოსები ქალები... არაფრის მოსმენა არ მსურდა მისი იდეების შესახებ! მე მხოლოდ იგი მსურდა... მისი ნაცრისფერი თვალები, მჭექარე ხმა, ძლიერი ხელები, სულელური ხუმრობები... მსურდა, რომ მოულოდნელად გამქრალიყო და ყოველთვის ჩემს გვერდით ყოფილიყო... როგორც მამაჩემი... როდესაც იგი ციხიდან გამოვიდა... მე და დედა უკვე მთელი წელი ვჩხუბობდით... იგი ნერვიული და ისტერიული გახდა... რაღაც საზიზღრობებზე იყო შემჯდარი... შემდეგ იყო ჰეროინი... გაშორდნენ... ის კაცთან წავიდა... რომელიც მკვლელობისთვის იჯდა. მასთან ჩუმ-ჩუმად დავბროდი... და მეათასედ ვისმენდი ერთსა და იმავე ისტორიას... მათ ერთმანეთი ზონაზე გაიცნეს... მან კაცი დაახრჩო... თავდაცვის მიზნით... ეს ურთიერთობა საშინელ ტონად ითვლებოდა... აუტანელი იყო... ისევე აუტანელი... როგორც ნარკოტიკები... მაგრამ ეს იყო... და ეს იყო მთვარის უკანა მხარე.

მამა ჰეროინით გარდაიცვალა... ციხიდან გამოსვლიდან 8 წლის შემდეგ... არ მსურდა მასთან განშორება... და გადავწყვიტე მეცხოვრა იმ კაცთან, რომელიც მუდამ მამას გვერდით იყო ამ ხნის განმავლობაში... მეგონა, რომ იგი ცდილობდა ამოეთრია მამაჩემი... ებრძოდა ნარკოტიკებს... მისთვის... მაშინ ასე მეუბნებოდა... ისიც ჰეროინზე იყო შემჯდარი.

ეცადა მეც ჰეროინზე შევესვი... გერასიმეს თაყვანისმცემელი იყო... ჰერაზე ლოცულობდა... მახრჩობდა... სექსის დროს... შეეძლო ისე გაეთავებინა, რომ ჩემში არც შესულიყო. სიამოვნებდა ცქერა, თუ როგორ ვიკლაკნებოდი და ვიხრჩობოდი კისერზე მისი ძლიერი ხელების მოჭერისგან... იგი ჩემგან გამოდევნიდა ნარინჯისფერ მანდარინს... მე ვხროტინებდი... და ეს ყველაფერი ნამდვილი იყო...

როცა მამა მოკვდა პირველად გავიფიქრე: „ყველაფერი ნამდვილია“... სამზარეულოში ვიდექი და სადილს ვამზადებდი. კარზე ზარი დარეკეს. გავაღე. ზღურბლთან ვოლოდია იდგა... ხელები უკანკალებდა... როდესაც ბინაში შევედით, მამა უძრავად იწვა საწოლზე, თვალები გახელილი ჰქონდა... თითქოს შუშის... საწოლის ზურგს დავეჯაჯგურე... ხელების ატკიებამდე... ცრემლი არ ჩამომვარდნია... და მხოლოდ მაშინ, როდესაც კუბო მიწაში ჩაუშვეს, გავიფიქრე `ჯანდაბა, ეს ყველაფერი ხომ ნამდვილია~.

დედა დაკრძალვაზე არ მოვიდა. ჩავყარე ნივთები სპორტულ ჩანთაში და ვოლოდიასთან გადავბარგდი... თითქმის ერთი წელი ვცხოვრობდით ერთად... არ მეშინოდა, როდესაც მახრჩობდა. საერთოდ სიკვდილის არ მეშინია... მხოლოდ ერთის მეშინოდა... თუ ვერ მოზომავდა და მომკლავდა, ციხეში დააბრუნებდნენ... მეცოდებოდა...

ერთხელ მან ბარიგას მიმყიდა... დოზის გამო... როგორც ნივთი... მაშინ წამოვედი... სამუდამოდ... `ლომკა~ მქონდა, ოღონდ არა ჰეროინის... უვარგისობის „ლომკა“... მე ვცეკვავდი, რათა გამომედევნა ეს შეგრძნება... ვიდრე არ შევხვდი ზახარს...

_ მშვიდად მაშა, მე _ დუბროვსკი ვარ.

ათასერთი ღამე... თითქმის სამი წელი საშასთან განშორებისა... უშედეგო მოლოდინი... საშასაც და ლონდონსაც მშვიდად შეეძლოთ უჩემოდ ცხოვრება... რჩებოდა ზარები, წერილები... გამოიყენეთ

ელექტრონული ფოსტა! თქვენი წერილები ვერ ჩააღწევენ დანიშნულების ადგილს და დაიკარგებიან გაცილებით უფრო სწრაფად!

დროდადრო, ვაცნობიერებდი, როგორ არ ვჭირდებოდი საშას... ვცდილობდი თავი ამაყად მომეჩვენებინა. შემდეგ ვეღარ ვუძლებდი... ვურეკავდი... ვსვამდი დამამშვიდებლებს... გამუდმებით ვსვამდი ანტიდეპრესანტებს, საძილე საშუალებებს, ალკოჰოლურ და ენერგეტიკულ კოქტეილებს. იცით, თუ საძილე წამალს ენერგეტიკულ სასმელს დააყოლებ, დისკოთეკა დაგესიზმრება...

რა თქმა უნდა, ოდესღაც მსურდა ზახარს ცოლად გავყოლოდი... მყოლოდა ქმარი... შემექმნა დაცულობის ილუზია... ზახარი იღიმებოდა:

_ ძვირფასო, კარგ საქმეში სამადლოდ ყოფნაც არაა ცუდი...

ტუჩს ვიკვნეტდი, ვიდრე არ მივეჩვიე სამადლო ყოფას... ამას ზახარმა მიმაჩვია. მე ვიყავი მისი პედაგოგიური ექსპერიმენტრი. მან მე წარმოუდგენლად გამაძლიერა. მასპონსორებდა, ბინის კეთილმოწყობაში მეხმარებოდა, იხდიდა ჩემი კაპრიზებისთვის, სადილად ჩემთან მოდიოდა, მაგრამ ყოველთვის მიმითითებდა ჩემს ადგილს.... როგორც ძაღლს... ადგილზე!.. მე ვისწავლე ჩემი ადგილი... პატრონის მორჩილება... პატივისცემა... და... შიში...

ზახარი წავიდა სახელმწიფო ორგანოდან... თუმცა, როგორც იგი ამბობდა, ყოფილი ჩეკისტები არ არსებობენ... ბიზნესით დაკავდა... დროსტარება... რესტორნები... გახსნა ჩემი შოუ...

ერთხელ ზახარი მოვიდა ჩემთან. ფერმკრთალი იყო და მისმა სიტყვებმა სახტად დამტოვა:

_ აღარ მინდა სამადლოდ ყოფნა, მინდა რომ მხოლოდ ჩემი... მე... პირადად... შენით...

_ ჩუმად ძვირფასო...

ვიღიმებოდი, როგორც სულელი... მწარედ, თითქოს მთლიან ლიმონს ვღეჭავდი... კანიანად... უკვე აღარ მინდოდა... უბრალოდ კი არ მივეჩვიე სამადლოდ ყოფნას... მსურდა წავსულიყავი... საშასთან... თუნდაც არ ვჭირდებოდე მას... თუნდაც სამადლოდ.... მე მსურდა იგი მთლიანად, მთელი თავისი არსებით... ბავშვური შიშებით და არარეალიზებული სურვილებით, გიჟური იდეებითა და უზარმაზარი ტარაკნებით, ვირული სიჯიუტით და გულშიჩამწვდომი სირბილით, პოლიტიკური ბრძოლითა და ცხოველური სინაზით... მე იგი მთლიანად მსურდა... ნარჩენის გარეშე... ისე მიყვარდა, რომ ჩემი სიცოცხლე შეუძლებელი იყო ამ სიყვარულის გარეშე...

ზახარი კაცურად მოიქცა... ლონდონში გამიშვა. სამსახური მიშოვნა... პატარა ქალის ხელჩანთა... და ფასდაუდებელი ინფორმაცია მასში.... მეცეკვა და ინფორმაცია გადამეცა... გადამეცა ინფორმაცია, რათა მეცეკვა... აგენტურულ სამსახურს ფული მოჰქონდა ჩემთვის, რათა გამეხსნა ჩემი საკუთარი შოუ. შოუ `Bუტტერფლყ~ ხუთი წლის მანძილზე _ ჩვიდმეტი სოლო პროგრამა... სხვადასხვა მიმართულებები, ჟანრები... ეჩალე სალსიტა!.. დარლინგ!.. ეჩალე სალსიტა!..

ხშირად მეკითხებოდნენ, რას გრძნობს ადამიანი, რომელიც შედის საკუთარი თეატრის კარში, თუნდაც პატარაში, კამერულში, ორმოცდაათ მაყურებელზე... არ ვიცი რას გრძნობს ეს ადამიანი... მე საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი... ტყვიასავით ფეხები და საზიზღარი მანდარინი... ეჩალე სალსიტა!..

მუსიკა სიჩუმეში იკარგება...

ნაკიანი

(მარიამ პაპიროსი მოქაჩა):

პირველი წელი ლონდონში საშინელი იყო... ზახარი თვეში ერთხელ ჩამოდიოდა. ყოფითი საქმეების მოგვარებაში მეხმარებოდა... და მაინც ათასჯერ ვეკიდე ბეწვზე... ვიდექი ფანჯრის რაფაზე, ხელებგაშლილი და ვგრძნობდი, რომ მხოლოდ ერთი ქარის დაბერვა იყო საკმარისი, რომ გაეშალა ღამის პეპელას ფერადი ფრთები... გასაფრენად... სიკვდილის არასოდეს მეშინოდა...

მაგრამ გაისმოდა ზარი საელჩოდან... მივდიოდი დიპლომატიური ფოსტის ასაღებად... მაწვდიდნენ ბილეთებს... სასწრაფოდ უნდა გავფრენილიყავი პიტერში... აეროპორტში ზახარი მხვდებოდა... ყოფილები არ არსებობენ... ისევე როგორც ჩემი ცხოვრების ყოფილი მამაკაცები... პიტერში უკვე გამოკრული იყო აფიშები... ვცეკვავდი... ქოშინი... ყოველი პა უფრო და უფრო მიძნელდებოდა... უფრო მეტი ენერგეტიკული სასმელი... მეტი ანტიდეპრესანტი... გვიან მივაღწიე ჩემს მიზანს... დამქანცველი ვარჯიშები... ყოველდღე... და მკაფიო შეგრძნებები იმისა, რომ კიდევ თვე, ნახევარი წელი, წელი, ორი, სამი ძალის ძალად... და შესაძლებელი იქნება ჩემი ჩამოწერა უტილიზაციისთვის... უკან დასახევი უნდა მომეფიქრებინა... მეპოვნა დამატებითი გასასვლელი... გადავწყვიტე გავმხდარიყავი ცეკვის მასწავლებელი... სტრიპტიზი, ვალსი, სალსა, მუცლის ცეკვა, ტანგო.... ყველაფერი, რაც გსურთ... ნელი ცეკვები, მოდუნებისთვის.... ეროტიკული _ აღგზნებისათვის... ექსპრეს-ჩაძირვა სამ გაკვეთილში... წლიური კურსები...

არ შემეძლო საშა არ მენახა... იგი იმავე კვების ჯაჭვში იყო... მე მისი ინფორმატორიც ვიყავი... მეუბნებოდა:

_ უკან დასახევი გზა არ არსებობს, გოგონი...

მე კი... ნელ-ნელა... ნაბიჯ-ნაბიჯ ვიპყრობდი მის ტერიტორიას, ხელთ ვიგდებდი მისი საცხოვრებელი სივრცის ნაგლეჯებს. ვიდრე მან კვლავ არ მიწოდა შაჰრაზადა. შემდეგ მატა ჰარი, როგორც მოსკოვში. ხუმრობით სხვა რა მეტსახელის მოგონება შეიძლება ინფორმატორ მარია ხარიტონოვასთვის? და კვლავ:

_ მშვიდად, მაშა, მე დუბროვსკი ვარ...

ყველაფერი ამ სიტყვებისათვის...

არასოდეს არაფერი მითხოვია საშასთვის... მზად ვიყავი მის გამო ყველასთვის ყველაფერი წამერთმია... თუმცა ეს ყველაფერი მისთვის სრულიად უსარგებლო იყო. და ეს ყველაფერი მე ვიყავი...

პირველი წელი ლონდონში საშინელი იყო... დეკემბერში დამესიზმრა, ვითომ მესტუმრა ძველი წელი, რომ დარიჩინითა და კარდამონით შეზავებულ ყავაზე მივეწვიე, მე კი ასე განწირულად დავეკითხე:

_ შენ ხომ ასეთი ცუდი იყავი? ბოლოში კი საერთოდ გაფუჭდი.

_ მე ხომ ნაკიანი ვარ. მაგრამ არ იდარდო. მომავალი წელი უარესი იქნება.

ღმერთის შესახებ

მარია მიდის ბართან, იმზადებს კოქტეილს: ჩემი ბებია ღვთისმოშიში ქალი იყო. დილით ლოცულობდა და საღამოს ბიბლიას ბუტბუტებდა. ყოველი ახალი დღისა და ყოველი ლუკმის გამო ღმერთს მადლობას სწირავდა... ყველა შვილი და შვილიშვილი მოანათვლინა. საბჭოთა ხელისუფლება მისთვის კანონს არ წარმოადგენდა. თუმცა დიდი ხნის მანძილზე მალავდა ხატებს, შემდეგ მტვერი გააცალა და მთელს სახლში დაალაგა... დადიოდა წირვაზე, ზიარებაზე. ყოველ დღესასწაულზე ტაძარში ლოცულობდა. სააღდგომოდ კვერცხებს ღებავდა, ყოველთვის ახსოვდა, როდის იყო ბზობის კვირა, როდის უნდა დაენთო სანთლები ნიკოლოზ სასწაულმოქმედისთვის, რომელი წმინდანისთვის რა ეთხოვა...

ბებია ძლიერ რომ მოხუცდა, მსაყვედურობდა ურწმუნობის გამო... უჭკუო სულაც არ იყო. და ამბობდა, რომ ყველა ჩვენთაგანი, ადრე თუ გვიან, მიდის ღმერთის შეცნობამდე, რომ უკვე პატარა გოგო აღარ ვარ და დროა ვიპოვო გზა ტაძრისკენ.

მე ვბრაზობდი და, რომ ვიხსენებდი როგორ მჩაგრავდა, ხუმრობით ვპასუხობდი, რომ ღმერთმა იგი ვერც უკეთესი და ვერც კეთილი ვერ გახადა.

_ რაშია შენი ლოცვის აზრი, ბებერო ეშმაკო? რა დაგემართა? როგორ შეგცვალა შენმა ნაქებმა რწმენამ?

_ სულელო, ლოცვა მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა იმეორო, რომ რაიმე შეიცვალოს!

_ არა ასეთი რწმენა საჩემო არაა. თუ ვილოცებ, მხოლოდ ერთხელ... რომ ღმერთთან უეჭველად მივიდე... თუ რაიმე უნდა მოხდეს, ეს აუცილებლად მოხდება. თუ არაფერი, მაშინ ჩემი ლოცვა შეცდომა ყოფილა... უაზრო შეცდომა... და მე აღარასოდეს გავიმეორებ მას...

ფანტომური ტკივილები

მოულოდნელად ირთვება რადიო, მუშაობას იწყებს კედელზე ჩამოკიდებული უზარმაზარი ტელევიზორი, ყველა მხრიდან მოფრინავს გაზეთები, რაღაც უცნაური სათაურებით და სტატიებით. მარია სწრაფად იღებს ტელევიზორის პულტს და სხვა არხებზე იწყებს გადართვას... ყველგან ახალი ამბები და სასწრაფო განცხადებებია... ვერ ახერხებს ტელევიზორის გამორთვას. იღებს გაზეთებს, კითხულობს სათაურებს, გლეჯს ფრაზებს კონტექსტიდან. ცოცხლდება მანეკენები... ისინი წყვეტილი ფრაზებით საუბრობენ... ბგერების კაკაკონია, სხვადასხვა ხმები:

...ლონდონში გარდაიცვალა მარტინენკო...

...შესაძლოა, იგი მოწამლეს შხამით, რომელსაც მალე იშლება ორგანიზმში...

... აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი არ გამორიცხავს, რომ ალექსანდრე მარტინენკო მოწამლეს რუსეთის სპეცსამსახურების ყოფილმა თანამშრომლებმა...

რუსეთსა და ინგლისს შორის ჩამოყალიბდა ურთიერთგაგება. და ამ ურთიერთობის დარღვევა აბსოლუტური ნონსენსია. მარტინენკო ის კაცი არაა, რომ მის გამო ორმხრივი ურთიერთობა გაართულო. გეოპოლიტიკის მასშტაბები ვერ მოვა ერთი ადამიანის სიცოცხლის მასშტაბებთან...

...რუსეთში არ აფასებენ სიცოცხლეს...

... ექსპერტი რუსეთის საკითხებში მარტინ მაკკოლი თვლის, რომ შესაძლოა მარტინენკო `რიკოშეტს~ ემსხვერპლა, და სინამდვილესი სხვას უმიზნებდნენ..

...შხამი ბრიტანეთში დიპლომატიური ფოსტით ჩამოვიდა...

...ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მარტინენკო არ ფლობდა რაიმე საიდუმლოს...

...მარტინენკო აპირებდა ოლიგარქებისა და კრემლის კორუმპირებული ჩინოვნიკების შანტაჟს...

...სკოტლანდ იარდი იძიებს მკვლელობას...

...ბრიტანელებს დაეწყოთ პანიკა. ანალიზი რადიაციის დასადგენად გაიკეთა 450-ზე მეტმა ადამიანმა...

... „ბიბისი“-მ დოკუმენტური ფილმი უჩვენა...

...ლონდონში რადიაციაზე ამოწმებენ ადამიანებს, რომელთაც კონტაქტი ჰქონდათ მარტინენკოსთან...

...სამშობლოს მოღალატემ თავისი მიიღო...

...ეს ამბავი მანიშნებელია იმისა, თუ რა დაემართება რუსეთის იმიჯს მსოფლიოს თვალში, რომელიც ასეთი სისწრაფით უარესდება. ძალიან ძნელია ესაუბრო ქვეყანას, რომელშიც წამლავენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს...

...ეჭვი აქვთ, რომ მარტინენკოს ჰქონდა კავშირი ალ-ქაიდასთან...

...იგი მოწამლეს პოლონიუმ 210-ით...

_ ხომ არ გეჩვენებათ, რომ მოწამვლისათვის ფრიად ძვირი მეთოდია შერჩეული, დაახლოებით 10 მლნ დოლარის ღირებულის? თქვენ ხომ შესანიშნავად იცით, რომ თუნდაც საჩვენებელი მკვლელობისათვის სპეცსამსახურებს გააჩნიათ ბევრი სხვა უფრო მარტივი მეთოდი.

_ თქვენ საბჭოთა ინჟინრის მსოფლმხედველობა, რომლისთვისაც ორი გამოსასვლელი კოსტუმი _ უკვე ბევრია. პოლიტიკოსებისა და ოლიგარქების სამყაროში სრულიად სხვა ფული ტრიალებს. რა არის ათი მილიონი რაღაც აბისთვის, რომელიც ოპერატიული ღონისძიებისთვისაა საჭირო? ეს სრულიად არ არის ძვირი.

...მარტინენკო მონაწილეობდა `ბინძური~ ატომური ბომბის შექმნაში, მხოლოდ ამ გზით შეეძლო დასხივებულიყო...

...მიცვალებულის გვამის ეკლესიაში შეტანის ნება არ დართეს...

...დაკრძალულია ლონდონში ჰაიგეიტის სასაფლაოზე...

...სხეული მოთავსებული იქნა სპეციალურად დალუქულ კუბოში...

...გულმოკლული ქვრივი წერს წიგნს ქმრის შესახებ:

_ ვის შეეძლო პოლონიუმის ჩაყრა?

_ მხოლოდ სპეციალისტს, რომელსაც შხამებთან აქვს საქმე. ხოლო მომზადება და წვრთნა ამ ადამიანმა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გასული წლის დასაწყისში, სადღაც თებერვალ-აპრილში დაიწყო. ლონდონშიც ჩავიდა, ყველგან დადიოდა და ყველაფერს ეცნობოდა.

...სკოტლანდ იარდმა მკვლელის კვალი აიღო...

...პუტინმა ეს შემთხვევა „ტრაგედიად“ შერაცხა. სინანული გამოთქვა, რომ „ისეთი ტრაგიკული შემთხვევებიც კი, როგორიცაა ადამიანის სიკვდილი, გამოიყენება პოლიტიკური პროვოკაციებისთვის“...

...ჰამბურგის პროკურატურამ მოსკოვში გაგზავნა თხოვნა სამართლებრივ დახმარებაზე...

...რუსეთის გენპროკურატურა გამორიცხავს კრუგოვოის ექსტრადიციას...

...კრუგოვოიმ განაცხადა, რომ მას აქვს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ მარტინენკოს მკვლელობასთან ბრიტანეთის სპეცსამსახურები იყვნენ ჩართულნი...

...ლონდონი უშვებს რუს დიპლომატებს ინგლისიდან. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იძლევა პირობას, რომ ეს მოქმედება არ დარჩება უპასუხოდ...

...მოსკოვი უშვებს ოთხ ბრიტანელ დიპლომატს...

...მოწამვლა ინგლისში რომ არ მომხდარიყო, მარტინენკოს სიკვდილის მიზეზს ალბათ ვერც დაადგენდნენ...

...დამნაშავის შეცდომა იყო პოლონიუმის ზედმეტად დიდი დოზის გამოყენება, რომლის შედეგადაც მწვავე სხივური დაავადების ნიშნები განვითარდა...

...აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი რუსეთს ურჩევს კრუგავოის გადაცემას...

...მარტინენკომ თავად დააავადა კრუგოვოი პოლონიუმით...

...უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დიდმა ბრიტანეთმა რუსეთს არცერთი ადამიანი არ გადასცა...

...მარტინენკო ბრიტანულ დაზვერვაზე „მი-6“-ზე მუშაობდა და ამისთვის თვეში 2000 ფუნტს იღებდა...

...კრუგოვოი დუმის არჩევნების წინასაარჩევნო პარტიული სიით მეორე ნომერი იქნება. „როგორც რუსეთის ფედერაციის ნებისმიერი მოქალაქე, მინდა გავხდე პრეზიდენტი“, _ განაცხადა მან პრესკონფერენციაზე...

...ამ საქმესთან კავშირში შესაძლოა ყოფილიყო ბრიტანული სპეცსამსახურები, „რუსული მაფია“ ანდა...

...ექსპერტიზამ დაადგინა, რომ პოლონიუმი, რომლითაც მარტინენკო მოწამლეს, რუსული წარმოშობისაა...

როიალზე კატა ცოცხლდება. ბეწვი ეფოფრება, თითქოს მოჩვენებას ხედავს. კატის კუდი გასქელდა და საყვირს დაემსგავსა. გულისგამგმირავი ჩხავილით ადგილს წყდება და კულისებში უჩინარდება.

მარია ყვირის: საკმარისია! მორჩით! მე! აღარ შემიძლია! მე! მეტი! აღარ შემიძლია! ამის ა-ტა-ნა! ეს ძალიან რეალურია! გაგიჟებული ვარ! გესმის? რომ ყველაფერი ზედმეტად რეალურია. მოლოდინი და სევდა, სექსი და მისი არქონა, ზარები და წერილები, დაპირებები და ილუზიები, კარგი იდეები და ნაპოლეონის მსგავსი გეგმები, ადვილი წყენა და ყოვლისმომცველი სინაზე, ტკივილი და ღალატი, გულწრფელობა და თავის მოჩვენება, განშორება და მგზავრობა, მშობლები და კატის კრუტუნი მაგიდაზე, სიყვარული და მის გარეშე ცხოვრების შეუძლებლობა, ნაქირავები ბინები და უცხო ქალაქები. ყველაფერი სინამდვილეში...

ხოლო ცხოვრებისეული გამოცდილება, ეს არის მხოლოდ ფასეული ცოდნის მასა, როგორ არ უნდა მოიქცე იმ სიტუაციებში, რომლებიც აღარასოდეს განმეორდება. ა-რა-სო-დეს...

***

მარია უახლოვდება ედუარდ სტუინს, ჯდება გვერდით, მოეხვევა მას და აქეთ-იქით დაქანაობს: დეტექტივო, მე ვიცი, რატომ მოხვედით აქ. არ გასვენებთ ეს ამბავი... როგორც ვაშლს ჭია, ისე გიბურღავთ ტვინს შიგნიდან... თქვენ ზედმეტად რთულ კროსვორდს ხსნით, დეტექტივო... ზედმეტად რთულს...

თქვენ ეს საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩემთვის ჩაატარეთ? გაინტერესებთ სიმართლე? სიმართლე არ არსებობს... და რომც ყოფილიყო... ვინ დაუჯერებს შეშლილ დეტექტივსა და უცნაურ მოჩვენებას?

მორჩა! არცერთი სიტყვა! დეტექტივო, ნუ მეკითხებით! ეს ძალზე მტკივნეულია... ის აღარ არის. ეს ფანტომური ტკივილია. თქვენ იცით, რას ნიშნავს ფანტომური ტკივილი? როდესაც გაჭრიან ხელს, კიდევ რამდენიმე ხანი გეჩვენება, რომ ეს ხელი თქვენ გაქვთ, და ის გტკივათ... როდესაც თქვენ სამუდამოდ გართმევენ საყვარელ ადამიანს, თქვენ აგრძელებთ ჩაძინებას და გამოღვიძებას მის მკლავებში, ვიდრე არ შეიშლებით ჭკუიდან...

და გახსოვდეს, რომ ყოველთვის შენთან ვარ...

მარია ჯდება იატაკზე, ზურგს აქცევს მაყურებლებსა და მანეკენებს და წყნარი, მშრალი ხმით იწყებს: ზახარი ჩამოვიდა ლონდონში. როგორც ყოველთვის. მივლინებით. შეხვდა საშას და კიდევ ვიღაც იტალიელს აქ, Pინე Bარ-ში. შემდეგ კრუგოვოი მოვიდა ჩემთან და გადმომცა ამპულა.

_ ჩემო კარგო, საშაზე მზადდება თავდასხმა. შესაძლოა უკვე ეცადნენ მის მოწამვლას... ანდა შესაძლოა სხვანაირად მოახდინონ ზემოქმედება... ფსიქოტროპული საშუალებებით... მრავალი ხერხია... ეჭვი აქვს კიბოზე... ქიმიოთერაპია შეიძლება ლეტალურად დამთავრდეს. გესმის, რაზე ვსაუბრობ?

მე თავს ვუქნევდი... გული გიჟივით მიცემდა... მეგონა, რომ ზახარს ესმოდა ჩემი გულის კან-კანი... მაგრამ ჩემთვის უკვე სულერთი იყო...

_ ჩემო კარგო, მე ჩამოგიტანე აბი კრემლიდან, რომელიც უკანასკნელი ნამიბიური... მარტორქის... დაფქვილი რქისგანაა დამზადებული... ეს უძლიერესი იმუნომოდულატორია, შხამსაწინააღმდეგო. გაყავი ოთხ ნაწილად, გახსენი ცხელ წყალში. საშამ ოთხი დღის მანძილზე სვას. შეძლებ მარტინენკოსთან ოთხი შეხვედრის მოწყობას? ზედიზედ? ჭკვიანი გოგო ხარ. წამალი თანდათანობით იმოქმედებს. შენ თავად შეამჩნევ. მთავარია, პანიკის გარეშე. ნუ გააფრთხილებ საშას. ეს შექმნის დისბალანსს, გამოიწვევს ეჭვიანობას, დაარღვევს მიკროკლიმატს... და გახსოვდეს,

რომ ყოველთვის შენთან ვარ, ჩემო პატარავ... აი, შენ ათი ათასი ფუნტი შეწუხებისთვის. ეს შოუსთვისაა.

ჩვენ Pინე Bარ-ში ვისხედით. ამ მაგიდასთან. დიახ-დიახ. აქ. ორნი. მე ჩურჩულით მოვუყევი საშას, რომ მისი მოწამვლა უნდათ. ის დიდხანს იცინოდა. ეს ამბავი სერიოზულად ვერ აღიქვა. მითხრა, რომ ტრანკვილიზატორების ალკოჰოლთან არევა მავნებელია, ამისგან პარანოიები მივითარდება... გაღიზიანებული იყო, შემომთავაზა ანგარიში გადამეხადა და ტუალეტში გავიდა. ოთხი დაგეგმილი შემთხვევა თვალსა და ხელს შორის ქრებოდა. მე გავხსენი ამპულა და მწვანე ჩაის ჭიქაში ჩავაგდე... საშა მობრუნდა. დალია ჩაი და წავიდა...

მეორე დღეს დილის გაზეთებში გამოჩნდა ყველა ეს საშინელი ამბები... მოწამლულია... საავადმყოფოშია... ერთ წამში ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდა! მე დამნაშავე ვარ! მე! ზახარის შემპარავი ხმა... მისი ტკბილი ღიმილი... სულელური ამბავი უკანასკნელ ნამიბიურ მარტორქაზე... ეს ხომ გამოხატული დაცინვაა... ესთეტური წამება... ყოჩაღ, გოგონავ! ბარბაროსების ხელით თვით ბარბაროსების წინააღმდეგ. ყველაზე ჭკვიანი პოლიტიკოსები _ ქალები...

მე მაშინვე წავედი საშასთან საავადმყოფოში. ის იღიმებოდა:

_ მაპატიე, მგონი გუშინ გაწყენინე. არ მინდოდა. შენ იცი რამე?

უარის ნიშნად თავი გავაქნიე. ცრემლებით ამევსო თვალები. მოვიდნენ სანიტრები. საშა გადააწვინეს საკაცეზე და სხვა ბლოკში წაიყვანეს. ვუყურებდი მას და ვგრძნობდი, როგორ მეწვოდა ხელისგულები... ის მიჰყავდათ ჩემგან და მე ვფიქრობდი: „ეშმაკმა დალახვროს, ეს ყველაფერი სიმართლეა“. ყველაფერი! სიმართლეა! ეშმაკამა დალახვროს! ნებისმიერი რეალობა ნამსხვრევებისგან იგება...

ბავშვობიდან შევეჩვიე მძიმე ჩანთებს. როცა ჩემი მშობლები ციხეში იჯდნენ, მე და ბებია ერთად მივდიოდით პაემანზე. ნახევარ წელიწადში ერთხელ დედასთან და ნახევარ წელიწადში ერთხელ მამასთან. პატიმრებისთვის აკრძალული ნივთების სია უზარმაზარი იყო, ხოლო ნებადართულის, ერთ პატარა ფურცელზე ეტეოდა. ერთხელ, დედამ პომადა და ტუში გვთხოვა. ისინი აგრძალულ ნივთებში შედიოდა. ბებიამ ჩათვალა, რომ ბავშვს არ გაჩხრიკავდნენ და ჩემს ზურგჩანთაში ჩადო... მაგრამ მსუქანმა დეიდამ დაფერთხა ჩემი ზურგჩანთა... კოსმეტიკა იატაკზე გადმოიყარა.

_ მცირეწლოვანი დამნაშავე, _ ყვიროდა ის...

ძალიან შემეშინდა. ამ საზიზღარი ტუშისა და პომადის გამო მემუქრებოდა სასჯელი _ არ მენახა დედა კიდევ ნახევარი წლის განმავლობაში.

_ დეიდა, დეიდა, მომაჭერით ხელები, ფეხები, ოღონდ შემიშვით დედასთან! _ ვქვითინებდი გულამოსკვნილი. ჩემი ისტერიკა საათნახევარს გაგრძელდა. ზედამხედველი კი ტკბებოდა:

_ აკრძალულია.

ის დაიხარა ჩემსკენ და ცდილობდა აეხსნა, რომ „აკრძალულია“. პირიდან ხახვის სუნი ამოსდიოდა... იმ დროიდან ვერ ვიტან ხახვს. ამ ხახვმა არ მომცა საშუალება, მენახა დედა... კიდევ ნახევარი წელი...

როდესაც საშა საკაცით მიჰყავდათ, მე, როგორც ბავშვობაში, მომინდა მეყვირა:

_ დეიდა, დეიდა, მომაჭერით ხელები და ფეხები, ოღონდ ცოცხალი გადარჩეს!

საშა ერთ კვირაში მოკვდა... და ეს სიმართლე იყო.

დოკ, როგორ მოგეწონა ჩემი ზღაპარი? კმაყოფილი ხართ, დეტექტივო? გყოფნით სამხილი? მაშინ მიდით, დამადეთ ბორკილები და წამიყვანეთ კამერაში! მითხარით მთელი ეს სისულელე ადვოკატსა და ჩვენების მიცემაზე... გამაფრთხილეთ, რომ ჩემს წინააღმდეგ გამოიყენებთ...

1000 მანეთი

მარია დგება და შვეიცარს უახლოვდება: როცა არავისი გჯერა, ვერც ვერავის დაადანაშაულებ ღალატში. არ ვიცოდი, მჯეროდა კი ზახარის, ზედმეტად ვიყავი გატაცებული საშათი, რომ ამაზე სერიოზულად ერთხელაც დავფიქრებულიყავი. მე ვიყენებდი ზახარს, ვიდრე ერთხელაც მან არ გამომიყენა მე, როგორც ტუალეტის ქაღალდი. ერთჯერადად... როდესაც ცნობილი გახდა, რომ საშა მოწამლულია პოლონიუმით, მივხვდი, რომ ცხოვრებაში პირველად ასე ახლოს ხელში მეკავა სიკვდილი... ოთხ ნაწილად დაყოფილი აბი განაგრძობდა მარტინენკოს მოკვლას... აქტიური სხივური დაავადების ნიშნების გარეშე... მაგრამ ამავდროულად ის მეც მომკლავდა... აქროლადი პოლონიუმი არავის ინდობს...

ეს ეშმაკეული 10 ათასი ფუნტი ნაღდ ფულად მომხიბვლელად იდო ჩემს სამუშაო მაგიდაზე და წვავდა გონებას.

როცა დედა ციხეში იჯდა, ერთხელ წერილი გამოგზავნა:

_ დავბრუნდები, ჩვენ წავალთ მაღაზიაში და 1000 მანეთის საჩუქრებს გიყიდი.

ათასი მანეთი _ ეს იყო ზღაპრული თანხა იმ დროისათვის. და მეც ველოდი. ვოცნებობდი, ვფიქრობდი, რომ ვიყიდდით საჩუქრებს. დავდიოდი და სიამოვნებას მგვრიდა ის, რომ ირკას არასოდეს ექნებოდა ასეთი ნივთები... როგორ შეშურდება ჩემი!!! შური მთელს თვალებს დაუფარავს! მე დავსეირნობდი მაღაზიებში და რვეულში ჩემი ბავშვური მიამიტობით ბუღალტერიას ავღრიცხავდი: ველოსიპედი, თოჯინები, ახალი კაბა, პალტო... თუ პირდაპირვე მანქანა! დედა დაბრუნდა და იმავე დღეს ვკითხე მას, როდის წავიდოდით მაღაზიებში.

_ რატომ უნდა წავიდეთ?

_ რათა ჩემთვის ვიყიდოთ 1000 მანეთის საჩუქრები. შენ ხომ შემპირდი! წერილში! გახსოვს?

_ არა, ძვირფასო, მე გიგზავნიდი 1000 კოცნას.

და მე ავქვითინდი:

_ არ მჭირდება შენი კოცნები. მე მინდა 1000 მანეთის ნივთები!

წყენის ნარონჯისფერი მანდარინი კვლავ ჩემს ყელში გაიჩხირა _ ვერც გადმოფურთხებას ვახერხებ და ვერც გადაყლაპვას...

მე არ წავედი პოლიციაში. პიტერში გავფრინდი. თვითმფრინავში შუახნის ბორტგამცილებელი რეკლამას უკეთებდა სასმელ წყალს.

_ ჩვენ წყალს კრემლში სვამენ! მასში არის ქიმიური ელემენტები, რომლებიც იშვიათად გვხვდება ბუნებაში!

_ პოლონიუმი? _ გესლიანად ვკითხე მე.

ბორტგამცილებელმა დაბნეულად გაიღიმა.

ნამდვილი ცხოვრების დღენი

(მარია შვეიცარს სახეში ესვრის ფულს): ჩაიხრჩვი! აი, ყველა 10 ათასი!

_ და შოუ? Show must go on! _ ზახარი კარგ ხასიათზე იყო.

_ წადი შენი!..

_ ბოზო!

_ მკვლელო!

_ სიტყვები შეარჩიე!

სანთებელა ავანთე და ფულს ცეცხლი წავუკიდე დოკუმენტებთან ერთად. პირდაპირ ზახარის სამუშაო მაგიდაზე.

_ Show must go on!

_ ისტერიკიანო!

ორივე ვუყურებდით ცეცხლს. შემდეგ ზახარმა აიღო გრაფინი და მაგიდაზე წყალი დაასხა. ჩემში ყინული ვიგრძენი. პისტოლეტი ამოვიღე, მოვხსენი დამცველი, გადავწიე საკეტი... დიახ, მე აქ მოვედი კრუგოვიოს მოსაკლავად.

_ რა რომანტიკულია! _ გაეცინა ზახარს, _ გიხდება იარაღი. ეს ყოველთვის ვიცოდი. რაც უფრო ჭკვიანია ქალი, მით უფრო მეტ სისულელეს სჩადის. თავს მოიკლავ თუ მე მომკლავ?

_ არასოდეს მოგდომებია სიკვდილი?

_ არა. არასოდეს. მაგრამ ყოველთვის მინდოდა მათი მოკვლა, ვინც გამამწარებდა. არავის შეუძლია დაუსჯელად რქები დამადგას. მოგეწონა ხუმრობა მარტორქაზე? შენთვის ვცდილობდი საყვარელო... ახლა კი წვენი მომიტანე... მაცივრიდან... და ბოლოს და ბოლოს თავი ნუ მოგაქვს მატა ჰარად, მაშა. რა პოლიტიკა? სექსი! სექსი განაგებს მსოფლიოს. ბავშვური შიში, კომპლექსები და შელახული თავმოყვარეობა.

მე მართლაც წავედი წვენის მოსატანად. ჭიქაში ხელის კანკალით ვასხამდი და მივხვდი, რომ ვერასოდეს შევძლებდი ცივი გონებით და გამიზნულად ადამიანის მოკვლას.

_ მაშა, აპატიე შენს მტრებს _ ამას ისინი ვერ იტანენ.

წამოვედი კრუგავიოსგან... თვალები სავსე მაქვს ცრემლით, მეჩვენება, რომ ქუჩაში ჩემსკენ მორბის ბავშვი, ხელს მიწვდის, მაგრამ მე ვერ ვიხუტებ მას. ეს ბავშვი მე ვარ, რომელიც სინაზისკენ, სათნოებისკენ ილტვის და გაურბის გულში ჩაკვრას. მე... წამსვლელი ვარ არსაით...

ლოცვა

მარია (ლოცულობს): ... მე პიტერში, ჩემს ბინაში მოვედი და ვლოცულობ... პირველად... არ ვიცი შესაფერისი სიტყვები...

_ ვგრძნობ რაღაცას, მაგრამ არ ვიცი რას. ეს ისეთი რამაა, რომელსაც ვერც ვიმახსოვრებ და ვერც ვივიწყებ. და როცა ამ რაღაცას ვიჭერ, მის განსაზღვრას ვერ ვახერხებ, ვერ ვხვდები რა არის. და ბედნიერი ვარ იმით, როგორც მოხდა ყველაფერი, იმითაც კი ვარ ბედნიერი, რაც ისე არ მოხდა...

მე მინდა, რომ ჩემი საფლავის ქვაზე სიმართლე დაწერონ... მე ვიცხოვრე... 3 წელი 2 თვე 14 დღე და 4 წუთი. ეს დროის ის მონაკვეთია, როცა მართლა ვიყავი ბედნიერი... ახლა კი, დამრთეთ ნება, გავფრინდე... მე ვიქნები პეპელა... მარტოსული ღამის ფარვანა. ნუ გეშინიათ. ეს სულაც არ არის საშიში. მე არასოდეს მეშინოდა სიკვდილის... ფარვანა უნდა დაიწვას... ხოლო თქვენ, თქვენ ნომბერტო, გადით სამზარეულოში და გადაკეტეთ გაზი... ძალიან ჩაიხუთა და თავბრუ მესხმის...

მარია მაგიდიდან იღებს მანდარინს, ფცქვნის, მთლიანად იდებს პირში და ცდილობს დაღეჭვას. ვერ ახერხებს. იწყებს გაგუდვას.

კულისებიდან სცენზე ნარინჯისფერი მანდარინები მოგორავენ...

30 ნოემბერი 2007 - 12 ნოემბერი 2008

ქ. მინსკი

ქრისტინა მატვიენკო

პოსტსაბჭოთა დრამატურგია რუსეთში

1

როდესაც ახალი დრამის ფესტივალი (და საერთოდ მოძრაობა) დაიწყო, რუსეთში იყო მინიმუმ ათამდე ოცდაათწლამდე ავტორი, რომლებმაც მოახდინეს ერთგვარი რევოლუცია თეატრალური საზოგადოების აზროვნებაში. თუმცა მათ საკუთარ თავზე გამოსცადეს ყოველგვარი ინტერესის უქონლობა, რომ გაეგოთ ან მიეღოთ მათი ტექსტები სცენაზე. თეატრის კარი ჩარაზული იყო ახალი ტექსტებისათვის, ვინაიდან ისინი ვერ ხედავდნენ ახალ ჩეხოვს. ასე რომ, ახალგაზრდა დარამატურგები მიმართავდნენ ახალ სივრცეებს და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც.

დღეს, ახალი მაყურებლისათვის რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში და მრავალ სხვა ადგილას საუკეთესო სივრცე არის არა დიდი თეატრები, არამედ სხვენები, მიწისქვეშები და ყოფილი ქარხნები. ახალმა რეალობამ მოითხოვა ახალი ხედვა და აღწერის ახალი ხერხები; ახალმა ტექსტებმა კი ახალი სივრცეები. ახალი დრამის ყველა ყოფილი ლიდერი, როგორიცაა ვასილი სიგარევი, მაქსიმ კურორჩკინი, ძმები პრესნიაკოვები, დღეს, ჩართული არიან კინო ინდუსტრიაში ან